ახალი განათლება

2015 წელი, 9 - 22 აპრილი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№14 (688) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

საიდუმლო სერობა, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

ფორუმი

მასწავლებელთა ხარისხის და ეფექტიანობის გაუმჯობესება – 21-ე საუკუნის კონკურენტუნარიანობის აუცილებელი პირობა

გვერდი 2

პროფესია პედაგოგი

რამ გადამაწყვეტინა სკოლაში მუშაობა

გვერდი 3

პედაგოგთა დასახმარებლად

პორტფოლიო, როგორც შეფასების ეფექტური მეთოდი

გვერდი 4

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია ბესო ადეიშვილი, მაგდებურგის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული

სიღრმისეული მენტალური რევოლუციის გარეშე უკეთეს სახელმწიფოს ვერ შევქმნით

გვერდი 6

ფორუმი

მასწავლებელთა ხარისხის და ეფექტიანობის გაუმჯობესება – 21-ე საუკუნის კონკურენტუნარიანობის აუცილებელი პირობა

ლალი ჯელაძე

მასწავლებელთა საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების გაუმჯობესება, მასწავლებელთა სამუშაო ძალის ეფექტიანობის გაზრდა და მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ამაღლება ახალი, ნიჭიერი კადრების მოსაზიდად – ეს ის საკითხებია, რომლებზეც მასწავლებელთა პოლიტიკის ორდღიან ფორუმზე იმსჯელეს. ფორუმი – „მასწავლებელთა ხარისხის და ეფექტიანობის გაუმჯობესება – აუცილებელი პირობა საქართველოს კონკურენტუნარიანობისთვის 21-ე საუკუნეში" განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის), საქართველოში ესტონეთის საელჩოსა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით ჩატარდა. ორდღიანმა ფორუმმა თავი მოუყარა უცხოელ ექსპერტებს, ქვეყნის პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს, განათლების სპეციალისტებსა და საერთაშორისო დონორებს.

იუნისეფისა და ესტონეთის მთავრობის მიერ მომავალი მასწავლებლების საუნივერსიტეტო განათლების მხარდაჭერა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ახლახან დამტკიცებული მასწავლებელთა განვითარების სქემა საქართველოში მასწავლებელთა ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას ქმნის. თუმცა, რასაკვირველია, ჯერ კიდევ შორს ვართ იმისგან, რომ მასწავლებელთა საქმიანობა სკოლაში მაღალკვალიფიციური და უფრო შედეგიანი იყოს.

„მოსწავლეების მაღალი საგანმანათლებლო შედეგების მიღების ერთ-ერთი წინაპირობა მასწავლებლების აკადემიური მომზადება და მათი გადამზადების პროგრამების ხარისხია, – აცხადებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური**, – *შესაბამისად, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ამ მიმართულებით, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, რომ უკვე იწყება სქემის იმპლიმენტაციის პროცესი და მოსამზადებელ პერიოდში, კიდევ შეგვიძლია, გადავხედოთ ცალკეულ საკითხებს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების საფუძველზე."*

მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი სამხრეთ კავკასიაში **ჰენრი კერალი** ფორუმს მნიშვნელოვნად მიიჩნევს და აცხადებს: *„მოხარულნი ვართ, საქართველოში მასწავლებელთა ხარისხის ამაღლებას უფრო დიდი ყურადღება რომ ექცევა. აღსანიშნავია ის რეფორმები, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროფესიული სტანდარტებისა და მასწავლებელთა წახალისების სისტემის შემუშავების მიზნით ტარდება. ეს ფორუმი კარგი პლატფორმაა არსებული ვითარების მიმოხილვისთვის, რომ გავაგრძელოთ ერთობლივი ძალისხმევა მასწავლებელთა სამუშაო ძალის გასაუმჯობესებლად."*

მასწავლებელთა ხარისხსა და მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ამაღლებაზე ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტი ახდენს გავლენას – მუშაობის პერიოდში კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ყველაზე მძიმე რეგიონებსა და სკოლებში მუშაობს; წახალისების ეფექტიანი სისტემა კვალიფიციური მასწავლებლებისთვის რთულ სკოლებში მუშაობის მოტივაციისთვის; ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც დამწყებ მასწავლებლებს პროფესიული კარიერის დაწყებაში და პირველი ორი წლის მანძილზე დაეხმარება; სწავლისა და სწავლების პროცესის ეფექტიანობისა და შედეგიანობის გაუმჯობესება; ხელფასების საგრძნობი ზრდა.

აქამდე საქართველოს მასწავლებელთა უმეტესობას არ ჰქონდა შესაძლებლობა სისტემატური, უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის. ისინი აგრძელებდნენ იმ ცოდნისა და მეთოდების გამოყენებას, რომლებიც მრავალი წლის წინ, სტუდენტობისას, შეიძინეს უნივერსიტეტში. ახალი მასწავლებლები არ გადიან ადეკვატურ მომზადებას პრაქტიკულ სწავლებასთან დაკავშირებით. ამას ემატება არასაკმარისი მომზადება და ხელშეწყობა პროფესიული კარიერის დაწყებისას. შედეგად, სწავლების პრაქტიკა კვლავ რჩება ფოკუსირებული მასწავლებელზე და სტატიკური და არაეფექტიანია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ზრდის თვალსაზრისით – აღნიშნულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე.

„მომავალი მასწავლებლების საუნივერსიტეტო განათლება და მათი მომზადება პედაგოგიური კარიერის დაწყების პროცესში, სავალდებულო პროფესიული განვითარება მუშაობის პროცესში და მასწავლებელთა შეფასება, ძირითადი ფაქტორებია საქართველოში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, – აღნიშნა **საშა გრაუმანმა**, იუნისეფის წარმომადგენელმა საქართველოში, – *საქართველოს მთავრობამ უფრო გადამწყვეტი ნაბიჯები უნდა გადადგას სწავლების ხარისხის და სისტემის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად. კარგი მასწავლებელი ნიშნავს კარგ მოსწავლეს, ხოლო კარგი მოსწავლე ქმნის ეფექტიან და კონკურენტუნარიან სამუშაო ძალას, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, რაც არსებითია მისი ზრდისა და განვითარებისთვის".*

ფორუმის მონაწილეებმა საინტერესო მოხსენებები და პრეზენტაციები წარმოადგინეს. ბუნებრივია, აქცენტები მასწავლებელთა ხარისხის გაუმჯობესების ირგვლივ ტრიალებდა. ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯის პროფესორმა **დევიდ სკოტმა**, რომელმაც ფორუმის მონაწილეებს გაერთიანებული სამეფოს გამოცდილება გაუზიარა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ზუსტად ვიცოდეთ და გვესმოდეს სიტყვა „ხარისხი", რადგან მხოლოდ საუბარი და ამ სიტყვის ტრიალი არაფრის მომტანია. რას გულისხმობს ხარისხი? მასწავლებელს, რომელსაც აქვს ქარიზმა, ძალიან მალე და იოლად შეუძლია კლასის (თუნდაც 100 მოსწავლე იყოს) შემოკრება და მათი ყურადღების მიპყრობა, თუ მასწავლებელს, რომელსაც ის განსაკუთრებული უნარები აქვს, რომელიც მის პროფესიულ ხარისხს განაპირობებს? ეს ის მთავარი კითხვაა, რომლის ირგვლივაც ისაუბრა დევიდ სკოტმა. ის თავადაც მუშაობდა სკოლაში 12 წელი და ამბობს, რომ მართლაც ძალიან მძიმე სამუშაოა. მისი აზრით, მასწავლებლობის პრინციპული მახასიათებელი და უნარია, თვითონ ისწავლოს მაშინაც კი, როცა უკვე მასწავლებელი ხარ. ამიტომაც არ არის საჭირო იყო ქარიზმული და თავიდანვე ამით მიიპყრო ყურადღება – აუცილებელი და საჭირო უნარია გამუდმებით სწავლა.

დევიდ სკოტის აზრით, აღმოსაფხვრელია მითი – ვისაც უნივერსიტეტში მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს, აუცილებლად კარგი მასწავლებელი გახდება. მაგალითად ფინეთის განათლების სისტემა დაასახელა, სადაც მასწავლებლად არ აჰყავთ ადამიანები, რომლებიც საუკეთესო სტუდენტები იყვნენ, პირიქით, უპირატესობას იმ კადრებს ანიჭებენ, რომლებზეც ფიქრობენ, რომ კარგი მასწავლებლები გახდებიან.

ბრიტანეთის გამოცდილება მასწავლებელთა გადამზადების სფეროში არც თუ სახარბიელო აღმოჩნდა. როგორც დევიდ სკოტმა განაცხადა: გადამზადებული მასწავლებლების 60-მა პროცენტმა, ხუთი წლის შემდეგ, სკოლა მიატოვა. ეს ერთგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა – მიზეზი მასწავლებლებისთვის არასასურველი სასწავლო გარემოა. *„არ ვიცი საქართველოში რა მდგომარეობაა, მაგრამ ბრიტანეთის მაგალითი ასეთია: მასწავლებლების, რომლებიც გადაამზადეს, მხოლოდ 40 პროცენტი დარჩა სკოლაში. იმედი მაქვს ასევე არ მოხდება საქართველოში. როგორც ხედავთ, ჩვენი მაგალითით, რთულია მასწავლებლების შენარჩუნება და მათი მუშაობის გაგრძელება 40 წლის განმავლობაში. თან, რაც მთავარია, ამ ხნის განმავლობაში მუდმივად ისწავლონ და განვითარდნენ"* – ამბობს ის.

როგორ გახდე კარგი მასწავლებელი და რას ნიშნავს მასწავლებლის ხარისხიანობა? – ბრიტანეთის განათლების ინსტიტუტის წარმომადგენლის პასუხი ასეთია: „რასაკვირველია, უნდა იცოდე საგანი, კარგად ფლობდე დისციპლინას, რომელსაც *ასწავლი, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. არადა, ზოგს მხოლოდ ეს ჰგონია ხარისხიანი მასწავლებლობა, მაგრამ საქმე გაცილებით რთულადაა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პედაგოგიურ პრაქტიკას, გაკვეთილი არ უნდა იყოს მხოლოდ ისეთი, როგორც სახელმძღვანელოში წერია. მასწავლებლები უნდა გრძნობდნენ, როგორ სწავლობენ მოსწავლეები, რადგან ეს პროფესია სწორედ სწავლებისა და შესწავლის პრაქტიკული ოსტატობაა – ვასწავლოთ საკლასო ოთახში და მათთან ერთად ვისწავლოთ. ყველაზე დიდი ფასეულობა პედაგოგისთვის თანასწორობასა და ხარისხზე ზრუნვაა. მისთვის ყველა ბავშვი თანაბარი უნდა იყოს, ერთნაირად მუშაობდეს ყველასთან და არა მხოლოდ ერთ ან ორ გამორჩეულ მოსწავლესთან, ვინც კარგად სწავლობს ან ვისაც ის მეტად მოსწონს. ეს ყველას ეხება – მენტორსაც და ჩვეულებრივ მასწავლებელსაც."*

დევიდ სკოტის მთავარი გაფრთხილებაა: *„არა იმიტაცია და მიბაძვა, არამედ საკუთარ მაგალითზე სწავლა. რა თქმა უნდა, ახალბედა მასწავლებლებმა უნდა აიღონ ის, რაც კარგად მუშაობს, მაგრამ აუცილებლად საკუთარ პრაქტიკაში გადმოიტანონ. ტრენინგები არის პრაქტიკით დაკავება სხვა მასწავლებლებთან ერთად. თუ გინდა, რომ გააუმჯობესო სამასწავლებლო პრაქტიკა, ერთიანი ტრენინგის მოსმენა ამისთვის საკმარისი არ არის. ძალიან ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ მენტორ მასწავლებლობას, შეიძლება მივბაძოთ მენტორს, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი გზა. მასწავლებლის გადამზადება და მისი მოტივაციის ამაღლება მთელი კარიერის განმავლობაში უნდა ხდებოდეს. მოვიზიდოთ ყველაზე გონებამახვილი ადამიანები ამ პროფესიაში, დავტოვოთ და გავზარდოთ კარიერულად – ეს არც თუ ისე მარტივია. იყავით ფრთხილად, შეიძლება გარკვეული ჩარჩო დაგიდგინონ, მაგრამ, პარალელურად, ძალიან ბევრ საკითხს უნდა მიაქციოთ ყურადღება, გასცდით ჩარჩოებს და მოერგეთ რეალობას"*

განათლების ექსპერტი **სიმონ ჯანაშია** დაინტერესდა იმ დანაკარგით, რომელიც ბრიტანეთში გადამზადებული მასწავლებლების 60 პროცენტის სკოლიდან წასვლამ განაპირობა: *იმისთვის, რომ ეს დანაკარგი თავიდან ავიცილოთ, ხომ არ არსებობს რაიმე სტრატეგია, რომელიც მასწავლებლებს უნივერსიტეტებიდან პირდაპირ გადაიყვანს სკოლებში?* ასეთი გზა დევიდ სკოტმა არასწორად მიიჩნია, მისი აზრით, უნივერსიტეტიდან მასწავლებლის პირდაპირ სკოლაში შეყვანა მიზანშეწონილი არ არის. *„ეს მხოლოდ ეკონომიკური საფუძვლებით გამოწვეული საწუხარი არ არის – ვამზადებთ მასწავლებლებს, შემდეგ ვასაქმებთ და საბოლოოდ ისინი მიდიან პროფესიიდან, უფრო მეტად, სისტემის ხარვეზია ან წინასწარი ტრენინგი არ არის ადეკვატური, არ არიან სათანადოდ მომზადებული და არ იციან რას უნდა ელოდონ, პრობლემა თვითონ სკოლაშია. იყო მოსაზრება იმის შესახებაც, რომ ცუდი მასწავლებლები წავიდნენ და კარგები დარჩნენ, მაგრამ მე ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. დიდი ალბათობაა, რომ 60 პროცენტში ბევრი კარგი მასწავლებელიც იქნებოდა, რომლებმაც, გარკვეული მიზეზების გამო, წასვლა გადაწყვიტეს – არ მოსწონთ გარემო და ა.შ. რთული თემაა, მაგრამ მკაფიოდ გამოხატული პრობლემა. ინგლისში იმაზეც საუბრობენ, რომ პედაგოგიკა გაიტანონ უნივერსიტეტებიდან და სკოლებში შეიტანონ. არა მგონია, ეს სწორი გადაწყვეტილება იყოს და იმედია, არც თქვენ გააკეთებთ ამას. არის ისეთი ძირითადი კომპონენტები, რომლებიც აუცილებლად კლასის მიღმა უნდა ისწავლებოდეს."*

რაც შეეხება მასწავლებელთა კარიერული წინსვლის სქემას, სიმონ ჯანაშიას შეფასებით: *„ახალი სქემა ძალიან მექანიკური სისტემაა, რომელიც არ ითვალისწინებს ადამიანების და სასკოლო კულტურების დამოკიდებულებას ახალი პოლიტიკური სისტემების მიმართ და, დიდი ალბათობით, ეს სისტემა არ იმუშავებს ან იმუშავებს მხოლოდ ზედაპირულად და მოჩვენებითად. უბრალოდ, მასწავლებლებს ექნებათ დამატებითი ვალდებულებები, რაც სახელმწიფომ დაავალათ, მაგრამ ეს მათ არანაირად არ განაწყობს, რომ შეცვალონ საკუთარი პრაქტიკა, რაც პრობლემაა დღეს სქართველოში."*

ესტონეთის ზოგადი განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, **ირენე კაოსაარიმ** ისაუბრა ესტონეთის განათლების სისტემის წარმატებებზე, რომელსაც ქვეყანამ ძალიან მოკლე დროში მიაღწია. მისი განცხადებით, იქიდან გამომდინარე, რომ ესტონეთი პატარა ქვეყანაა და არა აქვს სიმდიდრის რესურსები, მათი შემოსავლის ყველაზე დიდი წყარო თვითონ ადამიანები არიან. ამიტომ ქვეყანამ არჩევანი განათლების განვითარებაზე გააკეთა. დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, მოსწავლეთა რაოდენობა დღითი დღე მცირდება, ეს აიძულებთ სკოლის რეორგანიზებასა და სისტემის გაძლიერებას. 2014 წელს ესტონეთის მთავრობამ დაამტკიცა უწყვეტი განათლების სტრატეგია, რომელიც ქვეყნის განათლების ისტორიაში პირველი სტრატეგიაა, რომელიც განათლების ყველა დონეს მოიცავს. ხუთი ძირითადი ამოცანიდან ერთ-ერთი სწორედ მასწავლებელთა ხარისხის ამაღლებაა.

ირენე კაოსაარი: *„ვამაყობთ ჩვენი განათლების სისტემით და გვინდა გამოცდილება თქვენც გაგიზიაროთ. მაგალითად, ჩვენთან სკოლიდან მასწავლებლის გასვლის მაჩვენებელი ძალიან დაბალია, გვყავს პროფესიონალი მასწავლებლები, ხელმძღვანელები, ბევრი მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტი. სკოლის ხელმძღვანელებს აქვთ გადაწყვეტილებების მიღების უფლება როგორც საბიუჯეტო, ისე ადმინისტრაციულ საკითხებზე. მაგრამ, რასაკვირველია, გამოწვევებიც ბევრია. ხშირად ვამბობთ, რომ ესტონელი მოსწავლეები და სტუდენტები ძალიან ჭკვიანები არიან, ჩვენი მოსწავლეების უმეტესობას მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს, მაგრამ ბევრი მაინც უკმაყოფილოა სკოლით.*

სტრატეგიის ერთ-ერთი ამოცანა კომპეტენტური და მოტივირებული მასწავლებლებია; ჩვენი ეროვნული პროგრამის ფარგლებში, ნათლადაა გაწერილი როგორი მასწავლებელი გვჭირდება და როგორი სასკოლო გარემო უნდა შევუქმნათ, რომ პროფესიიდან არ წავიდნენ. სკოლებსა და მასწავლებლებს ფართო დისკრეცია აქვთ რეალური სასწავლო პროცესის განვითარების ფარგლებში. რაც მთავარია, გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის, კლასის და სტუდენტის ინტერესები და პოტენციალი. მიგვაჩნია, რომ ეროვნული სასწავლო პროგრამა ძალიან კარგი და თანამედროვეა, რომლის იმპლემენტაცია ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე გვაყენებს."

კარიერის დაწყების წინ მომზადება ძირითადი საშუალებაა, რომ მასწავლებლებმა შეიძინონ ის ცოდნა და უნარები, რომლებიც მათ მთელი კარიერის განმავლობაში დასჭირდებათ. სწორედ ამ მიზნით, ესტონეთმა წარმატებით განახორციელა პროგრამა „ახალგაზრდა მასწავლებელი სკოლაში", ყოველწლიურად სკოლებს 30 ახალი მასწავლებელი ემატება. *„შეიძლება სხვა ქვეყნებისთვის ეს რიცხვი არაფერია, მაგრამ ჩვენთვის 30 ახალი მასწავლებელი მნიშვნელოვანი რესურსია* – ამბობს ირენე კაოსაარი, – *პროგრამა დიდ დახმარებას სთავაზობს ახალგაზრდა მასწავლებლებს. მონაწილეების უმეტესობა, პროგრამით გათვლილი 2 წლის შემდეგაც, რჩება სკოლებში. უფრო მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო სისტემის მისაღებად აუცილებელია, სამუშაოს დაწყებამდე, ტრენინგით უზრუნველყოფა. ამიტომ, 2015 წლიდან, ვახორციელებთ ახალ, სამსახურიდან მოუწყვეტელ ტრენინგს. ეს იქნება ცენტრალურად დადგენილი პრიორიტეტების საფუძველზე შედგენილი პროგრამა. მასში სახელმწიფოს მიერ შერჩეული ორი უნივერსიტეტი – ტარტუს და ტალინის – ჩაერთვება. ტრენინგები, ძირითადად, მიმართული იქნება მთავარი კომპეტენციების შეძენასა და საგნების გაერთიანებაზე, ასევე, ინკლუზიურ სწავლებაზე. ჩვენთან ფუნქციონირებს ძალიან კარგი ტრენინგ-პროგრამები, რომლებიც პრაქტიკას მოიცავს და დიდ ყურადღებას ვუთმობთ მასწავლებლების ლიდერებად ჩამოყალიბებას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს პროგრამა გარანტიაა იმის, რომ ახალბედა მასწავლებელს მუდმივი მხარდაჭერა ექნება.*

უწყვეტი სწავლების სტრატეგია მიზნად ისახავს, ასევე, მასწავლებლის მოსამზადებე-

ლი პროგრამების – კურიკულუმების – შემუშავებას, აერთიანებს ფართო წყაროებიდან მოძიებულ პროფესიულ ინფორმაციას. მთავარი ამოცანა, კურიკულუმის შედგენისას, ახალი მიდგომების დანერგვაა – მასწავლებლის, როგორც ლიდერის, მომზადება; საინტერესო სასწავლო გარემოს შექმნა; სასწავლო პროცესში მასწავლებლების და მოსწავლეების უფრო აქტიურად ჩართვა და, რა თქმა უნდა, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება. ეს პროგრამა იმისთვის დავიწყეთ, რომ მეტი კვალიფიციური კადრი გვყავდეს და სისტემა მეტად მიმზიდველი გავხადოთ დამწყები მასწავლებლებისთვის, მართლაც ბევრი ახალგაზრდა კადრი მოვიზიდეთ.“

მასწავლებელთა განაწილება და დასაქმება, მათი პრესტიჟის ამაღლება, გამოწვევები და შესაძლებლობები – ეს თემები ფორუმის მონაწილეთა სერიოზული მსჯელობის საგნად იქცა. თუმცა, ყველა შეთანხმდა აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობებზე, რომ ყველა მასწავლებელმა უნდა გააცნობიეროს საკუთარი ნაკლი, აითვისოს უახლესი მეთოდიკები, რაც რეალურ სამუშაო გარემოშია შესაძლებელი და ყველა უნდა იყოს მოტივირებული საკუთარი მუშაობის სრულყოფისთვის. ისიც ფაქტია, რომ საამისოდ მხოლოდ მატერიალური სტიმული არ კმარა, რეალური ცვლილებების მისაღწევად მათ დიდი მოლოდინები უნდა ჰქონდეთ, ესმოდეთ მიზანი, რომელსაც ყველა იზიარებს და, რაც მთავარია, სწამდეთ, რომ შესწევთ უნარი გააუმჯობესონ ბავშვების განათლების დონე. ამის საუკეთესო მაგალითად კი, იქვე ფორუმზე, სინგაპურის განათლების სისტემაზე ნაჩვენები ფილმი იქცა, რომელმაც მასწავლებელთა ხარისხიანი განათლება სინგაპურის წარმატების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად წარმოაჩინა. ფილმი შთაბეჭდილების ქვეშ გაქცევს – საოცარი სასწავლო გარემო, ხალისიანი და პროფესიონალი პედაგოგები, სასწავლო პროცესში მაქსიმალურად გამოყენებული ციფრული ტექნოლოგიები, მენტორი მასწავლებლების მუდმივი თანადგომა და თანამშრომლობა დამწყებ პედაგოგებთან, ყველაფრის მოსწავლის ინტერესებზე მორგება – ეს იმ ფაქტორთა მოკლე ჩამონათვალია, რომელიც ასე მიმზიდველსა და მისაბაძს ხდის სინგაპურის განათლების სისტემას და სინგაპურელ პედაგოგებს. დამოუკიდებლობის ადრეულ წლებში, როცა ქვეყანა უღარიბესი იყო, მაშინაც კი, მთავარი ამოცანა რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდისთვის განათლების მიცემა იყო. სწორედ ამიტომ შექმენა ცენტრალიზებული სისტემა, რამაც განათლების სფეროს სწრაფი განვითარება უზრუნველყო. მხოლოდ მაღალი აკადემიური სტანდარტი და მასწავლებლად მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების აყვანა არ განაპირობებს სინგაპურში ხარისხიან მასწავლებლობას, მათთვის უმთავრესი ამ პროფესიის დაუფლების გულწრფელი სურვილია და სწორედ ამის შემდეგ იწყება კადრების განათლების ეროვნულ ინსტიტუტში მომზადება. სინგაპურელი მასწავლებლის მთელი ფილოსოფია საგნის კარგად ცოდნა და ნათელი წარმოდგენაა იმაზე, თუ როგორ, რა მეთოდებით სწავლობენ კარგად ადამიანები. გაკვეთილზე რაიმეს არცოდნას ბავშვისთვის ტრაგედიად არ აქცევენ, რადგანაც მიაჩნიათ, რომ მთავარია, ისინი გულწრფელები იყვნენ და ერთად შეძლებენ სწავლას. მათი გაკვეთილები ციფრული ტექნიკის სამყაროა, რომელშიც მოსწავლეებს სრული უფლება აქვთ, საჭიროების შემთხვევაში, იმოგზაურონ, ინფორმაცია მოიძიონ და დავალება მისივე დახმარებით შეასრულონ. ამბობენ, რომ ეს ორმაგ ეფექტს იძლევა – თანამედროვე ტექნოლოგიები მოსწავლეებისთვის გაკვეთილს უფრო ხალისიანს და საინტერესოს ხდის და, რაც მთავარია, ბავშვები ტექნოლოგიებს ეუფლებიან. მუდმივად მოუწოდებენ მოსწავლეებს და აქეზებენ, რომ, რაც შეიძლება მეტად სჯეროდეთ საკუთარი თავის და გაბედულად გააკეთონ ყვლაფერი. მათ სწამთ და ასეც არის – თითოეულ მათგანს შეუძლია სკოლა უფრო სახალისო და საინტერესო გახადოს მოსწავლისთვის და ხარისხიანი განათლება შესთავაზოს. ახალბედა მასწავლებელი არასდროსაა მარტო, მენტორი მისი მუდმივი პროფესიული თანამგზავრია. მათთვის მასწავლებლობა და სწავლება სამსახური კი არა, ყველაზე საყვარელი საქმეა, მასწავლებელი კი – ყველაზე ძვირფასი ადამიანი.

ალბათ, დაგაფიქრათ იმ ძალიან შორს მიმავალმა გზამ, რომელიც ჩვენ წინ გვაქვს.

პროფესია პედაგოგი

რამ გადამაწყვეტინა სკოლაში მუშაობა

პროფესია – მათემატიკოსი

სკოლაში სამუშაოდ 2011 წლის ოქტომბერში მივედი, რასაც წინ უძღოდა ხანგრძლივი კერძო პედაგოგიური, ანუ ე.წ. სარეპეტიტორო პრაქტიკა. პროფესიით მათემატიკოსი ვარ, კარგი მათემატიკური განათლება მივიღე უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. საკუთარ თავზე მუშაობა არც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შემიწყვეტია, და სკოლაში მოსვლამდე, საგანი – მათემატიკა, ვფიქრობ, რომ ვიცოდი. თუმცა, ერთია საგნის ცოდნა შენთვის და მეორეა მისი სხვებისათვის გადაცემის უნარი, ამ ცოდნისა და უნარის სხვებისაგან აღიარება. ამიტომ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა პრინციპული გამოწვევა იყო ჩემთვის და უყოყმანოდ მივიღე გადაწყვეტილება მასში მონაწილეობის შესახებ. ჩემი ცდა წარმატებული გამოდგა. 2012 წლის სექტემბერში მომენიჭა მასწავლებლობის უფლება. სხვადასხვა დროს, ჩემს ცხოვრებაში ბევრი კარგი პედაგოგი შემხვედრია. ერთ-ერთი მათგანი მეუბნებოდა, რომ ბავშვებთან მუშაობა დადებითი ემოციებისა და პოზიტიური ენერგიის უშრეტი წყაროაო. მაშინ, როგორც საქმეში ჩაუხედავი, ცოტა სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი და არ ვიზიარებდი ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, ავტორის კომპეტენტურობის მიუხედავად.

სოფლის სკოლა – სწორი გადაწყვეტილება

სკოლაში მუშაობამ ჩემი შეხედულებების ერთგვარი ტრანსფორმაცია მოახდინა და მე დღეს იმ მასწავლებელთა რიცხვს ვეკუთვნი, რომელთათვისაც სკოლა ნერვული სტრესის მიღების ასპარეზი კი არ არის, არამედ ნამდვილად პოზიტიური ენერგიისა და დადებითი ემოციების წყაროა. ამაში ლომის წილი კი იმ ფაქტს მიუძღვის, რომ მე სოფლის სკოლის მასწავლებელი ვარ და ჩემი მოსწავლეები, თავიანთი ქალაქელი თანატოლებისაგან, უფროსებისადმი პატივისცემით, ხალასი ბუნებითა და ერთგვარი გულუბრყვილობით გამოირჩევიან. სოფლის სკოლაში ობიექტურ გარემოებათა გამო მოვხვდი, დღეს კი მიმაჩნია, რომ ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი სწორი გადაწყვეტილება მივიღე, სწორედ იმის გამო, რომ სოფლად ვმუშაობ და არა ქალაქად.

მათემატიკა – შეუდარებლად მიმზიდველი საგანი

მიმაჩნია, რომ მათემატიკის როლი განსაკუთრებულია ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის კონსტრუირების პროცესში. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მათემატიკის სწავლების ძირითადი ამოცანა და მიზანია, საინფორმაციო და გამოთვლითი ტექნოლოგიების განვითარების ფონზე, სივრცე-დროის სტრუქტურის უკეთ გააზრება, ბუნებაში არსებული მრავალი კანონზომიერების აღმოჩენა და აღწერა, რაც ნათლად წარმოაჩენს მათემატიკის სამეცნიერო და კულტურულ ღირებულებას. მათემატიკა ხელს უწყობს ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების განვითარებას და ეფექტიანი, ლაკონური და არაორაზროვანი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა.

მათემატიკის გამოყენებით შესაძლებელია რთული სიტუაციის თვალსაჩინო წარმოჩენა, მოვლენების ახსნა და მათი შედეგების განჭვრეტა. აქედან გამომდინარე, სწავლებისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს მათემატიკური მეთოდების გამოყენებას გარემომცველი სამყაროს შემეცნებისას, სოციალურ-ეკონომიკური თუ ტექნიკური პროცესების მართვისას, საყოფაცხოვრებო თუ მეცნიერული პრობლემების გადაჭრისას და მათემატიკური ცოდნის, როგორც ლოგიკურად გამართული სისტემის, ჩამოყალიბებას და გადაცემას. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩემი, როგორც მათემატიკის მასწავლებლის, ამოცანა არა მარტო მათემატიკის სწავლებაა, არამედ ამ მათემატიკური მეთოდების შემდგომი ტრანსფერი პრაქტიკულ ცხოვრებაში.

არსებობს შეხედულება, რომ მათემატიკა რთული საგანია და მისი სწავლა ერთეულთა ხვედრია. ჩემი აზრით, მათემატიკა შეუდარებლად მიმზიდველი საგანია, თავისი პრაქტიკულობითა და შემდგომი გამოყენებითობის გათვალისწინებით. მათემატიკაში არსებობს ცალკეული უბნები, რომელთა დაუფლება ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია. უფრო მეტიც, ვფიქრობ, მათემატიკის მასწავლებელს პრინციპული პოზიცია უნდა ჰქონდეს, რომ მისი ყველა მოსწავლე ფლობდეს აღნიშნულ უბნებს, თავისი კოგნიტური შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

პირადი მაგალითი და პასუხისმგებლობა

სოფლად, ზოგადად, მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, მშობლები, უკეთეს შემთხვევაში, დილიდან საღამომდე სამსახურში არიან ან, უარეს შემთხვევაში, ქვეყნიდან არიან გასულნი სამუშაოდ. ბავშვები თავის თავს მინდობილნი ან მოხუცი ბებია-ბაბუების ანაბარად არიან დარჩენილი. ამის გამო მშობლის თანამონაწილეობა ბავშვის სწავლა-აღზრდის პროცესში, ხშირ შემთხვევაში, გამორიცხულია და მასწავლებელს ორმაგი ძალისხმევა უხდება მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების, სწავლისადმი ინტერესის შენარჩუნებისა და სწავლა-სწავლების პროცესის მონიტორინგის საქმეში. საგნის გარდა, სოფლის მასწავლებელს ევალება იზრუნოს თავისი მოსწავლეების გემოვნების დახვეწაზე, თვალი აუხილოს მათ სხვადასხვა ცხოვრებისეულ საკითხებზე, რათა ბავშვებს შემდგომ გაუადვილდეთ განსხვავებულ სოციუმში ადაპტირება. ერთი სოფელი მაინც ერთგვაროვანი სოციალური გარემოა, თითქმის ერთი ოჯახი, არადა შემდგომ სწავლა და მუშაობა სხვა სოციალურ გარემოში მოუწევთ.

მასწავლებლისთვის დიდი პასუხისმგებლობაა, დიდი შრომა, მაგრამ უდიდესი სიამოვნებაც, როცა ხედავ, რომ შენი მოსწავლეები შენს ენაზე მეტყველებენ, შენს მსგავსად აზროვნებენ, შეიძინეს ქცევის შენეული მანერები. მოგბაძეს, ანუ მოეწონათ, ე.ი. შენს შრომას ფუჭად არ ჩაუვლია და შემდგომ უფლება აღარ გაქვს, ამ შენს შემყურე მოზარდებს იმედი გაუცრუო.

პროფესიული განვითარების სქემა

ყველა მასწავლებელი ერთნაირად პირნათელი ვერ იქნება მოსწავლეების წინაშე. არადა მოსწავლეთა თანაბარ პირობებში ჩაყენება გარანტირებული უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, ბავშვი მიუდგომელი სოფლის სკოლას ამთავრებს თუ თბილისის პირველ საჯაროს (უკაცრავად ვულგარული კონკრეტიკისათვის); იმის მიუხედავად, მისი პედაგოგი თანამედროვე ინტერაქტიულ მეთოდებს მიმართავს თუ ძველმოდურს, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგზე უნდა გავიდეს ორივე შემთხვევაში. ამიტომ განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ მასწავლებელთა შეფასებისა და რანჟირების ახლებური სქემა, ვფიქრობ, აუცილებელი და დროულია, თუმცა მისი განხორციელების პროცესი ბადებს კითხვებს.

მე, როგორც მათემატიკოსს, მიმაჩნია, რომ მასწავლებელთა შეფასების ცალკეული აქტივობები ვერბალურია და მათი რაოდენობრივი მახასიათებლებისა და შესაბამისი კრედიტების მინიჭება გართულდება. მოსალოდნელია ერთგვარი კორუფციის წარმოშობის საფრთხე და კითხვებს ბადებს შემფასებელთა კომპეტენცია. მთელი საქართველოს მასშტაბით ამ პროცესის წარმართვას, პირობითად რომ ვთქვათ, არ ეყოფა 5 კომპეტენტური ადამიანი, ხოლო ბევრი კომპეტენტური და ნდობის მანდატით აღჭურვილი ადამიანის შერჩევა არც ისე ადვილია. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პროცესი შეუქცევადი და დროულია.

არ შეიძლება ყველა მასწავლებელი ერთი საზომით ფასდებოდეს მათი ძალისხმევისა და საქმისადმი დამოკიდებულების მიუხედავად. თან სოფლის მცირეკონტინგენტიანი სკოლები, მატერიალური, ტექნიკური და ადამიანური რესურსების სიმცირის გამო, არათანაბარ პირობებში აღმოვჩნდებით სხვა საჯარო სკოლებთან შედარებით. მცირე ბიუჯეტი, სპონსორების არარსებობა აძნელებს სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული აქტივობების ეფექტურ განხორციელებას. მიუხედავად არსებული სირთულეებისა, მე, როგორც ერთ-ერთი იმათგანი, ვისზეც არის გათვლილი სქემა, იმედიანად ვარ განწყობილი და ჩავერთვები სქემის პილოტირების პროცესში. მიმაჩნია, რომ ეს მასწავლებელთა მოტივაციის ზრდისა და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის კარგი საშუალებაა, რაც ჩვენი ბავშვების განათლებას მხოლოდ წაადგება.

ეკატერინე თურმანიძე
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლის
სერტიფიცირებული მასწავლებელი

პედაგოგთა დასახმარებლად



ეკა ტყავაშვილი

ინგლისური ენა

პორტფოლიო, როგორც შეფასების ეფექტური მეთოდი

ენის პორტფოლიო ეს არის ინდივიდუალური მოწაფის ნამუშევრების ნაკრები, რომელიც გვიჩვენებს მის ენობრივ უნარებს, ძალისხმევას და უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას გარკვეული დროის მანძილზე. იგი ძირითადად შეიცავს წერითი დავალებების ნიმუშებს, აუდიო და ვიდეოჩანაწერებს, ნახატებს, მასწავლებლის შენიშვნებს, ტესტებს, თანატოლთა შეფასების და თვითშეფასების ნიმუშებს და წაკითხული წიგნების რეცენზიებს. პორტფოლიო მოწაფისთვის ადვილად გამოსაყენებელი ენის შეფასების მეთოდია, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ მოწაფის აზრებს, დამოკიდებულებებს და ენის სწავლების სტრატეგიებს.

პორტფოლიოს ერთ-ერთი უპირატესობა ის არის, რომ სწავლის და შეფასების პროცესის ინდივიდუალიზაციის საშუალებას იძლევა. რადგან თითოეული პორტფოლიო განსხვავებულია, ბავშვებს ხელში მართვის სრული სადავეები უჭირავთ და მისი საშუალებით თავიანთ ინდივიდუალობას გამოხატავენ.

გარდა იმისა, რომ პორტფოლიო წაახალისებს მოწაფეს სრულად ჩაერთოს სწავლის და შეფასების პროცესში, მისი გამოყენება ასევე გავლენას ახდენს კლასში გამოყენებულ მეთოდიკაზე, რადგანაც კლასები, სადაც სწავლის პროცესში პორტფოლიოს იყენებენ, მოწაფეზე ორიენტირებული და თანამშრომლობითი ხდება.. მასწავლებელი და მოწაფე პარტნიორები ხდებიან. მოწაფეებს ეძლევათ ავტონომია, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ნდობისა და პატივისცემის დამკვიდრებას მასწავლებლის მიმართ.

პორტფოლიოს დადებითი მხარეები მასწავლებლისთვის

პორტფოლიო უზრუნველყოფს მასწავლებელს შესაძლებლობით:

- დააკავშიროს სწავლება და შეფასება. მასწავლებელი აფასებს მოწაფეს იმ აქტივობის შესრულების დროს, რომელიც სწავლა/სწავლების პროცესში გამოიყენება;
- აღრიცხოს თითოეული მოწაფის ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარება უწყვეტი დაკვირვებისა და ინფორმაციის მოგროვების გზით;
- მთლიანი წარმოდგენა შეექმნას ინდივიდუალური მოწაფის წარმატების, ასევე დამოკიდებულების, სწავლის სტრატეგიების, ინტერესების და ნიჭის შესახებ;
- გამოიყენოს ეს ნამუშევარი ბავშვების წარმატების განსახილველად მშობლებთან, სხვა მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და თვითონ ბავშვებთან;
- რეგულარულად შეხვდეს მოწაფეებს და გაეცნოს თითოეულს, რაც ხელს უწყობს მათთან მყარი ურთიერთობის დამკვიდრებას;
- ჩართოს მშობელი სწავლისა და შეფასების პროცესში.

პორტფოლიოს დადებითი მხარეები მოწაფისთვის

პორტფოლიო საშუალებას აძლევს მოწაფეს:

- პასუხისმგელობა აიღოს საკუთარ სწავლაზე და აქტიურად ჩაერთოს მიზნების დასახვასა და შეფასების კრიტერიუმების არჩევასა და გამოყენებაში;
- გააანალიზოს საკუთარი მუშაობა, დამოკიდებულება და სწავლის საკუთარი სტილი;
- გამოთქვას აზრი, თუ რომელი ნამუშევარი შეფასდეს მასწავლებლის მიერ;
- თვალყური ადევნოს მიღწეულ შედეგს;
- მეტად ჩაერთოს სწავლის პროცესში. მაგალითად, მოწაფემ შეიძლება მასწავლებელს შესთავაზოს აქტივობები, გამოთქვას აზრი, თუ რომელი თემის შესწავლა სურს და რომელი მასალის განმტკიცებაზე ვარჯიში იქნება მიზანშეწონილი;
- გახდეს მეტად დაინტერესებული და მოტივირებული სწავლით. იგი აკვირდება საკუთარ მუშაობას, ხედავს მიღწევებს და უნდა თავისი შრომის ნაყოფი მეგობრებსა და ახლობლებს გაუზიაროს.

სად შევინახოთ პორტფოლიო?

იდეალურ შემთხვევაში პორტფოლიო საკლასო ოთახში უნდა ინახებოდეს. მასწავლებელმა იგი მოწაფისთვის ხელმისაწვდომ ადგილზე უნდა შეინახოს, არც ძალიან მაღლა და არც ძალიან დაბლა. თუ საკლასო ოთახში მათი შენახვა ვერ მოხერხდება, მაშინ მოწაფემ ის სახლში უნდა წაიღოს. შეიძლება მოიტანოს სკოლაში კვირაში ერთხელ. დღესდღეობით, ტექნიკის ეპოქაში, შესაძლებელია ელექტრონული პორტფოლიოს წარმოება, რაც მის გამოყენებას მოწაფისთვის უფრო მეტად მოსახერხებელს ხდის.

კონფიდენციალობა დაცული უნდა იყოს, რადგან პორტფოლიოს შინაარსი პირადია. თუ მოწაფის ან მასწავლებლის გარდა ვინმეს სურს მისი ნახვა, საჭიროა ნებართვის მოთხოვნა. მშობელს შვილის პროტფოლიოს ნახვის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს.

კრიტერიუმების დადგენა ნამუშევრების შესარჩევად

დასაწყისში მასწავლებელი ირჩევს მოწაფეების ნამუშევრებს, მაგრამ კარგი იქნება თუ ამას მოწაფეებთან ერთად გააკეთებს.

ზოგიერთი კრიტერიუმი, რომელიც მოწაფეებმა შეიძლება შესთავაზონ, არის შემდეგი:

- *ბევრი ვისწავლე ამ აქტივობის შესრულებით;*
- *მომეწონა ამის გაკეთება;*
- *ეს იმას მოწმობს, რომ ბევრი ვისწავლე;*
- *საინტერესო იყო;*
- *ჩემი აზრით, კარგად გამოიყურება;*
- *ბევრი შეცდომა არ დამიშვია;*
- *ჩემი კალიგრაფია კარგია;*
- *მომწონს;*
- *ჩემი მეგობრები ფიქრობენ, რომ კარგია.*

როგორც არ უნდა გამოიყურებოდეს პორტფოლიოსთვის ნამუშევრების არჩევის საბოლოო სია, სასურველია, თუ მასწავლებელი მას დაბეჭდავს (თუ საჭიროა მშობლიურ ენაზე) და მისცემს თითოეულ მოწაფეს, რომ დააკრან იგი თავიანთი პორტფოლიოს შიდა ყდაზე. გზადაგზა კრიტერიუმები თუ დაიხვეწება და უფრო რთული გახდება, მასწავლებელს შეუძლია ამ სიის განახლება, მოწაფეები კი ძველ კრიტერიუმებს დააკრავენ ახალ კრიტერიუმებს. მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მოწაფეებს შევახსენოთ ეს კრიტერიუმები თავიანთი ნაშრომების შერჩევისთვის პორტფოლიოში ჩასადებად.

შემიძლია ჩემს პორტფოლიოს დავუმატო რაიმე ნამუშევარი, თუკი:

- ბეჯითად ვიმუშავე მასზე;
- მომეწონა სხვებთან ერთად მუშაობა (მეგობრებთან, ოჯახთან) მისი შესრულების დროს;
- ჩემს პორტფოლიოში სხვა ასეთი ნამუშევარი არ მაქვს;
- ეს ადრე შესრულებული სამუშაოს უკეთესი ვარიანტია;
- მისი შეტანა მასწავლებელმა შემომთავაზა;
- ჩემი აზრით, ეს ძალიან საინტერესოა;
- ეს ნამუშევარი იმის დასტურია, რომ ვიყენებ ინგლისურ ენას კლასის გარეთ;
- იგი მოწმობს, რომ ჩემი ინგლისური უმჯობესდება;
- მე ის ძალიან მომწონს.

მასწავლებლის მიზანია, გამოუმუშაოს მოწაფეებს საკუთარი მუშაობის გაანალიზების, რეფლექსიის უნარი და მიიღოს გონივრული გადაწყვეტილება პორტფოლიოსთვის ნამუშევრის არჩევის შესახებ. სასურველია, თუ მასწავლებელი გამოძებნის დროს მოწაფეებთან „კონფერენციისთვის“, სადაც განიხილავენ არჩევანს.

„კონფერენცია“ შეიძლება იყოს ხანმოკლე საუბარი დამატებული ნამუშევრის შესახებ. მასწავლებელმა შეიძლება ჰკითხოს მოწაფეს: „რატომ აირჩიე ეს ნამუშევარი?“. ამას შეიძლება მოკლე განხილვა მოჰყვეს, რაც მოწაფეს დაეხმარება ხელახლა შეაფასოს თავისი გადაწყვეტილება და ჩაწვდეს არჩევის პროცედურას.

თუმცა მიზანშეწონილია, შერჩევის პროცესის დროს, მასწავლებელმა და მოწაფეებმა აირჩიონ ის ნამუშევრები, რომლებიც მოწმობს, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევის გზაზე, მოწაფის პროგრესს. მასწავლებლის კრიტერიუმებს შორის შეიძლება იყოს შემდეგი:

- მოწაფეს სურს გარკვეული ნამუშევრის ჩართვა;
- გამოყენებული ენა ბავშვის ენობრივი დონის შესაბამისია;
- ბავშვმა მნიშვნელოვანი ძალისხმევა გამოიჩინა ამ სამუშაოს შესრულებისთვის;
- ნამუშევარი მნიშვნელოვანი მიღწევაა ბავშვისთვის;
- ნამუშევარი ნათლად აჩვენებს ბავშვის ძლიერ მხარეებს და დადებით თვისებებს.

პორტფოლიოს ხელახლა განხილვა და განახლება

მოწაფეები უნდა წავახალისოთ, რომ გადახედონ და გააანალიზონ პორტფოლიოში შემავალი ნამუშევრები. ეს მათ დაეხმარება მიღწეული წარმატების დანახვაში.

პორტფოლიოს კრიტიკული გაანალიზება ასევე მნიშვნელოვანია, როცა მოწაფეები ირჩევენ ნიმუშებს მომავალი მასწავლებლისთვის გადასაცემად. მასალის უმეტესობა მოწაფეებს თვითონ რჩებათ. ჩვეულებისამებრ, სამუშაოს მხოლოდ მცირე ნაწილი გადაეცემა მომდევნო მასწავლებელს. ამ მიზნით მოწაფეები ირჩევენ იმ სამ ან ოთხ ნამუშევარს, რომლებიც მათ უნარ-ჩვევებსა და წინსვლას საუკეთესოდ წარმოაჩენს.

პორტფოლიოს შეფასება

პორტფოლიო შეიცავს შესრულებული სამუშაოს ნიმუშების დიდ მრავალფეროვნებას, რაც ბავშვის წარმატებაზე საერთო წარმოდგენას გვაძლევს. შეიცავს სამუშაოს, რომელიც ავლენს ბავშვის მიერ კურსის მიზნების მიღწევისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. ეს შეიძლება იყოს: წერითი დავალებების ნიმუშები, ლაპარაკის ნიმუშები (ჩანაწერები), შეფასების დავალების შედეგები, წაკითხული წიგნის შესახებ ანგარიში და ა.შ. თუმცა თითოეული ბავშვის პორტფოლიო განსხვავებულია და მისი წარმატების დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს. ამიტომ არის პორტფოლიო შეფასების პროცედურა, რომელიც შეიცავს სხვა დანარჩენ პროცედურებს და აერთიანებს შეფასების დავალებებს, ტესტებს, მასწავლებლის ან მოწაფის მიერ ინიცირებული სამუშაოს ნიმუშებს, ანგარიშებსა და მასწავლებლის და მოწაფის კომენტარებს, ჩანაწერებს. რადგანაც პორტფოლიო გვაძლევს საერთო სურათს ბავშვის შესახებ, ამიტომ პორტფოლიოს შეფასება ბავშვის მუშაობის საერთო (სრულ) შეფასებას ნიშნავს.

პორტფოლიოს შეფასება შეიძლება მოხდეს წელიწადში ორ-სამჯერ, მასწავლებელსა და მოწაფეს შორის **კონსულტაციის** ფორმით. იდეალურ ვარიანტში, სასურველია, მასწავლებელმა მიიღოს ინფორმაცია ბავშვისა და მშობლისგან ანგარიშის დაწერამდე. ამ შემთხვევაში, მასწავლებელს შეეძლება მათი კომენტარების ჩართვა ანგარიშში.

ბავშვებს უნდა მიეცეთ დრო, რომ გადახედონ თავიანთ პორტფოლიოებს და მოემზადონ მასწავლებელთან საუბრისთვის. შესაძლებელია მშობლების „მშობელი-მასწავლებელი-მოწაფე“ კონსულტაციაზე მოწვევა. ასეთი ტიპის შეხვედრას შეიძლება 30 წუთი დასჭირდეს, რისი საშუალებაც ხშირად არც არის. მიუხედავად ამისა, მასწავლებელმა მაინც შეიძლება მიიღოს უკუკავშირი მშობლისგან, თუკი გაუგზავნის მას შეფასების/კომენტარის ფორმას პორტფოლიოსთან ერთად.

ყოველი კონსულტაციის შემდეგ, მასწავლებელი ჩაინიშნავს მშობლის და ბავშვის მიერ გაკეთებულ კომენტარებს და თავად იწყებს პორტფოლიოს შეფასებას. მასწავლებელი ავსებს პორტფოლიოს ანგარიშს ნამუშევრების ნიმუშების, შეფასების დავალების შედეგების, დაკვირვების ჩანაწერებისა და ნამუშევარზე გაკეთებული კომენტარების საფუძველზე. შეფასების ერთ-ერთი ნიმუშის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

გაფრთხილება: ზოგიერთი მშობელი შეიძლება არ იყოს მზად მიიღოს პორტფოლიო, როგორც შეფასების მეთოდი. ასეთ შემთხვევაში, მასწავლებელმა, პორტფოლიოსთან ერთად, უნდა გამოიყენოს შეფასების ტრადიციული ფორმა (სემესტრული ანგარიში).

პორტფოლიოს შეფასება

სახელი ..... კლასი ..... სემესტრი .....

უნარ-ჩვევა	საერთო მიღწევა	დადებითი მხარეები	შეთავაზება მუშაობის გაუმჯობესების მიზნით
კითხვა	ძალიან კარგი	უყვარს წიგნები და კითხვა ძალიან; იყენებს სურათებს და შინაარსს უცნობი სიტყვების გასაგებად.	უნდა გააუმჯობესოს კითხვის ტემპი და ისწავლოს ჩუმად კითხვა; უნდა გააგრძელოს რიდერების კითხვა არდადაგების დროს.
წერა	კარგი	მისი კალიგრაფია და მართლწერა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.	აქვს მცირე პრობლემები წინადადებების გადაბმაში; უნდა ივარჯიშოს მოკლე აბზაცების წერაში (2-3 წინადადება).
ლაპარაკი	კარგი	ყოველთვის მონდომებულია გამოიყენოს ინგლისური; შეუძლია ისაუბროს საკუთარი თავის და ყოველდღიური საქმიანობის შესახებ.	შეუფერხებელ მეტყველებას ხელს უშლის ლექსიკაში ხარვეზები; უნდა შეეცადოს ლექსიკის გაუმჯობესებას.
მოსმენა	ძალიან კარგი	ადვილად შეუძლია მოსასმენი ტექსტის მთავარ აზრს ჩაწვდეს.	ყოველთვის ვერ ახერხებს ამოიცნოს სიტყვების ზეპირი ფორმა; უნდა შეეცადოს მოუსმინოს მოთხრობების ჩანაწერს და, ამავე დროს, გადაშლილი ჰქონდეს წიგნი.
ინგლისური-სადმი დამოკიდებულება	ფრიადი	უყვარს ინგლისური და ყოველთვის მონდომებულია ინგლისურის გაკვეთილებზე.	

მასწავლებლის ხელმოწერა ..... ბავშვის ხელმოწერა .....

მშობლის ხელმოწერა .....

დასასრული შემდეგ ნომერში

სასკოლო აქტივობა

მათემატიკური თეატრი – „მაგიური 3, 4, 5“

მიმდინარე 2014-2015 სასწავლო წელს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლის (დირექტორი – **მარო ჩხიტუნიძე**) მათემატიკის კათედრა (ხელმძღვანელი – **ცირა ვარდიძე**) ჩაერთო საერთაშორისო ასოციაციის „ბალავარი“ (პრეზიდენტი – **ლალი ბერძენიშვილი**) მიერ გამოცხადებულ ევროკავშირის პროექტში LE-MATH – „ვუერთდებით ევროპას“, რომელიც ხორციელდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და დაფინანსებით. პროექტის მიზანი იყო ქართველი მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტეგრაცია ევროპულ საგანმანათლებლო სტრუქტურებში. კონკურსი ოთხი მიმართულებით ტარდებოდა: MATHEATRE, MATHFAKTOR, MATHPOSTER, MATHPREZENTATION. არლის საჯარო სკოლამ MATHEATRE მიმართულებაში მიიღო მონაწილეობა.

მათემატიკის პედაგოგმა ცირა ვარდიძემ დადგა სპექტაკლი „მაგიური 3, 4, 5“, რომელშიც მონაწილეობდნენ VIII კლასის მოსწავლეები: **თემურ ფეიქრიშვილი, გურამ აფრიამაშვილი, ნიკა ტატალაშვილი, თორნიკე აკოფაშვილი** და XII კლასელი **თეონა ნადირაძე**.

კონკურსი სამ ტურად ჩატარდა: სარაიონო, რესპუბლიკური და ევროპის ფინალური. მონაწილეობდა საქართველოს 55 რაიონის 540 სკოლა. სარაიონო კონკურსის შემდეგ სპექტაკლის ვიდეომასალა თბილისში გაიგზავნა და ჟიურიმ გამარჯვებული 10 ჯგუფი შეარჩია, მათ შორის აღმოჩნდა არლის საჯარო სკოლის გუნდიც, რომელიც თბილისში, ცოცხალი შესრულების კონკურსზე გაემგზავრა. კონკურსი დეკემბრის ბოლოს ჩატარდა, რესპუბლიკურ ტურში არლის გუნდმა I ადგილი დაიკავა და ევროპის ფინალურ ტურზე გამგზავრების კანდიდატი გახდა. შემდგომ, აღნიშნული სპექტაკლი ინგლისურ ენაზე ჩაიწერა და ვიდეომასალა ათენში, ფინალური ტურის შესარჩევ კონკურსზე, გაიგზავნა 2015 წლის თებერვალში. სპექტაკლი ამ ტურშიც მოიწონეს და ჯგუფი ფინალურ ტურში მიიწვიეს, საბერძნეთის დედაქალაქ ათენში.

პედაგოგის, ცირა ვარდიძის დაფინანსებაზე იზრუნეს: სოფელ არლის წმ. ნინოს სახელობის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, წმ. იოსების სახელობის კათოლიკურმა ეკლესიამ, ბიზნესმენმა **ამირან გოზალიშვილმა** და არლის საჯარო სკოლამ.

25-30 მარტს არლის საჯარო სკოლის მოსწავლეების გუნდი, პედაგოგთან ერთად, ათენში გაემგზავრა. ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასული 20-მდე გუნდი მონაწილეობდა ფინალურ ტურში, სადაც მათ III საპრიზო ადგილი დაიმსახურეს საბერძნეთისა და ლიბანის ყრუ-მუნჯთა სკოლის გუნდების შემდეგ. არლის საჯარო სკოლის სპექტაკლმა, ორიგინალურობით, ჟიურის წევრების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

ათენში ყოფნის დროს მოსწავლეებმა მოისმინეს საინტერესო ლექცია-პრეზენტაციები, დაათვალიერეს აკროპოლისი და ათენის სხვა ღირსშესანიშნაობები. მოსწავლეები და მასწავლებელი უდიდესი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ მშობლიურ სკოლაში, სადაც მათ საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა.

მიგვაჩნია, რომ ეს უდიდესი წარმატება და წინგადადგმული ნაბიჯია ევროპულ საგანმანათლებლო სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე.

ნინო კაჭკაჭაშვილი
არლის საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

მეგობრობის მემორანდუმი

ქალაქ წყალტუბოს ოტია იოსელიანის სახელობის პირველ საჯარო სკოლას (დირექტორი – **ფაქიზო ფანჩულიძე**, დირექტორის მოადგილე – **დალი სილაგაძე**) სხვა სკოლებთან თანამშრომლობისა და მეგობრობის დიდი ტრადიცია აქვს. სასურველი სასწავლო და საურთიერთო მიზნების მისაღწევად სკოლის ადმინისტრაცია და კოლექტივი სხვადასხვა მიდგომასა და სტრატეგიას მიმართავს.

კვლევები ადასტურებს, რომ მოსწავლეები საუკეთესო შედეგს აღწევენ, როდესაც აქტიურები არიან და სწავლობენ არა მარტო მასწავლებლებისგან, არამედ თანატოლებთან და მშობლებთან ურთიერთობით, დაკვირვებით, სხვათა გამოცდილებით.

სწორედ ამიტომ მიიღო წყალტუბოს პირველი საჯარო სკოლის ადმინისტრაციამ გადაწყვეტილება, გაეფორმებინა მემორანდუმი თერჯოლის რაიონის ძევრის საჯარო სკოლასთან (დირექტორი – **მანუჩარ ფანჩულიძე**).

ძევრის საჯარო სკოლასთან, უკვე დიდი ხანია, აქტიურად თანამშრომლობს ამერიკელების – **ქეთი მაკლეინისა** და **როი საუსვორსის** – მიერ დაარსებული ორგანიზაცია „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვიის“ (იგივე მაკი). დამფუძნებლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული აქვთ მემორანდუმი ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული ასოციაციის მეშვეობით ადაპტირდება განათლების სამინისტროს მიერ აკრედიტებული ინკლუზიური განათლების პროგრამა „ტონი ოთხის“ ინტელექტუალური ტესტი.

„მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის“ ძევრის საჯარო სკოლაში ახორციელებს რამდენიმე პროექტს – მათ მიერ დაქირავებული სერტიფიცირებული ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, კვირაში ექვსი დღე, ამეცადინებენ მოსწავლეებს; ფინანსდება: ცეკვის, კუმფუსა და ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლება; საზამთრო და საზაფხულო ბანაკები; „სიკეთის კლუბი“; „ლექტორთა ჯგუფი“; ბეისბოლის გუნდი; საზაფხულო სკოლები; ძევრის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულების კოლეჯში, პროფესიულ თუ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა; ასევე ახორციელებს ეპილეფსიის უფასო წამლების პროგრამას; ეხმარება მოხუცთა და ბავშვთა სახლებს და, რაც მთავარია, ხელს უწყობს საქართველოს სკოლებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას, გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ასოციაცია აფინანსებს ძევრის სკოლის თეატრალურ დასს „MAG-GEORGIA“, რომლის წევრებმაც, წყალტუბოს პირველ საჯარო სკოლაში სტუმრობისას, ქალაქის სხვადასხვა სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის, ნოდარ დუმბაძის „ჰელადოს“ წარმოადგინეს. სპექტაკლის დაწყებამდე მასპინძელთა მომღერალთა გუნდმა შეასრულა მწერალ ოტია იოსელიანისა და დალი სილაგაძის (დირექტორის მოადგილე) ტექსტზე შექმნილი სკოლის ჰიმნი (მუსიკის ავტორი – **მაკა ჟორჟოლიანი**).

ძევრისა და წყალტუბოს პირველი საჯარო სკოლების დირექტორებმა, საზეიმო ვითარებაში, ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. სპექტაკლის დასრულების შემდეგ ქალბატონმა ფაქიზომ სიმბოლური საჩუქრები გადასცა სტუმრებს; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე **სერგო კირკიტაძემ** (ძევრის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული) სტუმრები ექსკურსიაზე წაიყვანა „პრომეთეს“ მღვიმეში. ეს იყო ქალაქის საკრებულოს საჩუქარი, რომელმაც ძალიან გაახარა ბავშვები.

დოდო ხაჩიძე
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

სილრმისეული მენტალური რევოლუციის გარეშე უკეთეს სახელმწიფოს ვერ შევქმნით



რუბრიკის სტუმარია ბესო ადეიშვილი, მაგდებურგის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული

– საუბარი მოსწავლეობის პერიოდიდან დავიწყოთ. თბილისის 103-ე საშუალო სკოლიდან სასწავლებლად მოსკოვში მიდიხარ და საშუალო სკოლასაც იქ ამთავრებ. როგორ გახსენდება მოსწავლეობის პერიოდი, შენი მასწავლებლები... როგორ შეადარებ ქართულ და რუსულ საშუალო სკოლებს ერთმანეთს... გარკვეულწილად, განსაზღვრა თუ არა სკოლამ შენი პროფესიული მომავალი?

– პირველ რიგში, მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენი რუბრიკის სტუმრად არჩევისთვის. ვფიქრობ, ძალიან სასარგებლო რუბრიკაა. უცხოეთში სწავლა, გარკვეულწილად, გამართლებაცაა და დიდი პასუხისმგებლობაც, რადგან ყველას არ ეძლევა ამის შანსი. ისინი, ვისაც ეს შესაძლებლობა მიეცემა, ყველანაირად უნდა ეცადონ, მაქსიმალურად გამოიყენონ შესაძლებლობები და დაგროვილი გამოცდილება თანამემამულეებს გაუზიარონ.

ვერ ვიტყვი, რომ სკოლამ ჩემი ახლანდელი პროფესიის არჩევანი განსაზღვრა. ერთადერთი, რაც დამანახა, იყო ის, რომ ფიზიკა-მათემატიკაში ნიჭი არ მაქვს! საერთოდ, სკოლის პერიოდმა, სამწუხაროდ, უმნიშვნელო კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაში. ეს ალბათ იმის ბრალიცაა, რომ გაკვეთილების დროს კონცენტრაცია მაკლდა. ჩემი პიროვნული ჩამოყალიბება უფრო სკოლის დამთავრების შემდეგ დაიწყო. მეშვიდე კლასამდე თბილისში ვსწავლობდი, მერვე კლასიდან კი სწავლა მოსკოვში გავაგრძელე, სადაც უფრო მეტი მნიშვნელობა და დრო წაკითხულის ანალიზსა და დისკუსიას ენიჭებოდა (რაც ჩვენთან ნაკლებად იყო) და საერთოდ, რუსი მასწავლებლები უფრო მომთხოვნი იყვნენ. ასევე მეტი ყურადღება ექცეოდა დისციპლინას და სპორტს.

– სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას მოსკოვის ნატალია ნესტეროვას უნივერსიტეტში აგრძელებ. 2006 წელს, საქართველოსა და რუსეთს შორის შექმნილი დაძაბული ვითარების გამო, სწავლის შეწყვეტა გიხდება და საქართველოში ბრუნდები. უფრო კონკრეტულად მიამბე ამის შესახებ...

– 2006 წლის ოქტომბერში, მესამე კურსს ვიწყებდი, როცა საქართველოს და რუსეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობა ძალიან დაიძაბა. გახსოვთ ალბათ, მოსკოვიდან ქართველებს როგორ ადეპორტებდნენ სატვირთო თვითმფრინავებით. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ქართველი მოსწავლეების სიებს ადგენდნენ და ზოგიერთებს სახლებშიც კი უვარდებოდნენ. ჩემს უნივერსიტეტშიც იყვნენ მოსული მილიციის წარმომადგენლები, მაგრამ დეკანმა ჩემზე არანაირი ინფორმაცია არ გასცა. თუმცა, მაინც ამ მოვლენებმა გვიბიძგა რუსეთი დაგვეტოვებინა, მით უმეტეს დედაჩემს ძალიან უნდოდა საქართველოში, საკუთარ სახლში დაბრუნება... მე კი, გერმანიაში სწავლის გაგრძელება მსურდა.

– დედის სურვილისამებრ, სასწავლებლად გერმანიაში მიდიხარ. რა გზა გაიარე საქართველოდან გერმანიამდე და რატომ აირჩიე განათლების მისაღებად ქალაქი კილი?

– საერთოდ, გერმანიაში განათლების მიღება მამაჩემის იდეა იყო და ჩემი გარკვეული მიღწევები, ასევე, მისი დამსახურებაა. კილში მისი სტუდენტობის მეგობარი ცხოვრობს, რომელმაც გარკვეული ინფორმაცია მომაწოდა კილის სამხატვრო აკადემიაზე, რომელიც გერმანიის ერთ-ერთ საუკეთესო აკადემიად ითვლება. 2007 წელს გავაგზავნე ჩემი პორტფოლიო ნახატებით და რამდენიმე თვეში მივიღე მოწვევა. სანამ პასუხს ველოდებოდი, ოთხი თვე, თბილისის გოეთეს ინსტიტუტში ენის კურსებზე დავდიოდი. როცა გერმანიაში ჩავედი, კიდევ ერთი წელი ვიარე ენის შემსწავლელ კურსებზე, რომელიც უფასო იყო. საერთოდ, იმ პერიოდში, უკვე ბევრ გერმანულ მიწაზე, სწავლა უფასო იყო, რამაც ასევე დიდწილად განაპირობა გერმანიაში სწავლის გაგრძელება. 2008 წელს ჩავაბარე მისაღები გამოცდები კილის სამხატვრო აკადემიაში, სადაც ერთი წელი ხელოვნებას ვსწავლობდი.

– შემდეგ გერმანიის ქალაქ მაგდებურგის უმაღლეს სასწავლებელს ამთავრებ წარჩინებით, სამრეწველო დიზაინის განხრით. მიამბე, ამ სასწავლებლის ისტორია... რამ განაპირობა პროფესიის არჩევანი?

– მაგდებურგის უმაღლესი სასწავლებელი (HS Magdeburg) 1991 წელს დაარსდა, ხუთი ათასამდე სტუდენტია ჩარიცხული და 130-მდე პროფესორი მუშაობს. სასწავლებელი ტექნიკურად, მაღალ და თანამედროვე დონეზეა აღჭურვილი. ჩემს ფაკულტეტს ცალკე სახელოსნო აქვს, სადაც კონცეპტუალური მოდელის დამზადებისთვის საჭირო ყველა დანადგარი და ხელსაწყოა.

პროფესიას რაც შეეხება, მისი არჩევა, პირველ რიგში, ჩემმა უნარ-შესაძლებლობებმა და ინტერესმა განაპირობა. ვფიქრობ, პროფესიის არჩევის დროს, ეს ორი პირობა აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. ბავშვობაში ხშირად ვძერწავდი და ხატვაც მეხერხებოდა. ქანდაკება პლასტიკური ფორმების კარგ შეგრძნებას გაძლევს, რაც მნიშვნელოვანია სამრეწველო დიზაინში. კილის სამხატვრო აკადემიაში სწავლის დროს ღია კარის დღეები იმართებოდა, სადაც სამრეწველო დიზაინის სტუდენტების პროექტებიც იყო გამოფენილი, რომლებსაც დიდი ინტერესით ვათვალიერებდი. დავინახე, რომ საკმაოდ სერიოზული, მრავალფეროვანი და პრესტიჟული პროფესიაა. იდეა, რომ შემეძლო შემექმნა რაიმე სასარგებლო, კომფორტული და ლამაზი ნივთი, რომელიც მერე გაიყიდებოდა და ვინმეს გულს გაუხარებდა, ძალიან მომეწონა. გარდა ამისა, ეს პროფესია, კრეატიულობასთან ერთად, ანალიტიკურ აზროვნებასაც მოითხოვს, რაც ჩემთვის ერთგვარი გამოწვევა და, თვითგანვითარების მხრივ, დამატებითი მოტივატორი იყო, ამ მიმართულების არჩევისას.

– ბესო, მოდი, ჩვენი მკითხველისთვისაც განვმარტოთ, კონკრეტულად რა არის სამრეწველო დიზაინი?

– სამრეწველო დიზაინი, რომელსაც ზოგჯერ ტექნიკის ან საინჟინრო დიზაინად მოიხსენებენ, დიზაინის ყველაზე კომპლექსურ და მრავალფეროვან დარგად ითვლება, რომელიც კრეატიულ-ტექნიკურ საქმიანობას განასახიერებს. სამრეწველო დიზაინის მოვალეობაა არა მარტო რომელიმე ნივთის დიზაინის და ესთეტურობის შექმნა და გაუმჯობესება (როგორც ბევრს ჰგონია), არამედ უფრო მეტი – მისი ფუნქციონალურობის და ერგონომიის (ხმარებაში მოხერხებულობის) დახვეწა, ისეთი კონცეპტის შემუშავება, რომელიც გარკვეულ პრობლემას მოაგვარებს. მაგალითად: საინტერესო და ლამაზი ავეჯის დაპროექტება, რომელიც ასევე ძალიან კომპაქტური, კომფორტული და მოხერხებული იქნება, რაც მის პრაქტიკულ ფუნქციონალობაზე აისახება; ან ისეთი დიზაინის მოფიქრება, რომელიც კონკრეტულ ნივთს უფრო მჩატეს, დამზადებაში უფრო მარტივს და მოხმარებაში უფრო გასაგებს გახდის. მოკლედ რომ ვთქვა, სამრეწველო დიზაინერის მოვალეობაა არა მარტო ლამაზი, არამედ ჭკვიანი დიზაინის შექმნა. სამრეწველო დიზაინი ნივთების ფართო არჩევანს მოიცავს, დაწყებული ხელსაწყოებით, საათით, ტელეფონით, ავეჯით... ტრანსპორტითა და კომპლექსური ტექნიკური ნივთებით დამთავრებული. ტექნიკური დიზაინერის დეტალური სამუშაო პროცესის და მისი ეტაპების აღწერისგან თავს შევიკავებ, უბრალოდ ვიტყვი, რომ ეს საკმაოდ საინტერესო, მრავალფეროვანი და კომპლექსური პროცესია. დიზაინის შექმნის პროცესში გასათვალისწინებელია ტექნიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, კულტურული და ესთეტიკური ასპექტები, ასევე სამომხმარებლო ჯგუფიც. ხშირ შემთხვევაში, სამუშაო პროცესი ინტერდისციპლინურ ჯგუფში მიმდინარეობს – ინჟინრებთან, ელექტრომექანიკოსებთან, მენეჯერებთან და მარკეტოლოგებთან ერთად. ერთი სიტყვით, სამრეწველო დიზაინი, პროდუქტის შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ნივთის ყიდვის დროს, დიზაინს გადამწყვეტი როლი ენიჭება.

– ახლახან მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ დიზაინის კონკურსზე – iF Student Design Award – წარადგინე შენი საბაკალავრო პროექტი „მულტიფუნქციური სავარჯიშო დანადგარი სახლისთვის“ და მოიპოვე ნომინაცია. შენი პროექტი, გერმანიაში, სამრეწველო დიზაინის სფეროში ყველაზე ცნობილ ონლაინ გამოცემაში გამოქვეყნდა.

– დიახ, ჩემი პროექტი გამოქვეყნებული იყო, როგორც მოზარდი დიზაინერის სამაგალითო ნიმუში. რაც ჩემთვის ძალიან სასიხარულოა. iF Student Design Award მსოფლიოში დიზაინის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილ და პრესტიჟულ კონკურსად ითვლება, მასში მთელი მსოფლიოს სტუდენტი და უმაღლესდამთავრებული დიზაინერები მონაწილეობენ.



ჩემი კონცეპტის იდეა და პროექტის მიზანი იყო, ფუნქციონალურად და ვიზუალურად გამეუმჯობესებინა „სავარჯიშო დანადგარი სახლისთვის“, უფრო კომპაქტური და სახლის ინტერიერთან ინტეგრირებადი, შერწყმული გამეხადა. საამისოდ შევიმუშავე კონცეპტი, რომლის მიხედვითაც, სავარჯიშო დანადგარი ფაქტობრივად დაიმალებოდა სკულპტურის ტიპის ობიექტში და ასე უკეთ შეერწყმებოდა სახლის ლამაზ ინტერიერს. სკულპტურას კი, მცენარეული კედელი უქმნის ფონს, რაც ოთახში ჰაერს ასუფთავებს და ესთეტიკურ გარემოს ქმნის. კონცეპტის მეორე ვარიანტი კომპაქტურობით გამოირჩევა – უკვე დაკეცილ დანადგარს, ოთხი მხრიდან ჩამოსაწევი ფარდები მალავს (სურათზე წარმოდგენილია კონცეპტების ფინალური ვერსია). სამწუხაროდ, ჯილდო ვერ მოვიპოვე, მაგრამ ამ პროექტით სხვა კონკურსებშიც ვმონაწილეობ და შესაძლოა, სხვაგან გამიმართლოს. საერთოდ, ჩემი პროფესიული კარიერა ახლა იწყება და იმედია, ყველაფერი წინაა.

– რა შეგიძლია გვითხრა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების როლსა და მნიშვნელობაზე, სტიპენდიებსა და გრანტებზე უცხოელი სტუდენტებისთვის...

– პირველ რიგში, გერმანული საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები არქიტექტურულად ძალიან ლამაზი შენობებია. ადამიანს გსიამოვნებს იქ ყოფნა და მეცადინეობა. წიგნების ძალიან დიდი არჩევანია. ასევე შესაძლებელია ინტერნეტით სარგებლობა და ბიბლიოთეკის შიდა ქსელით წიგნების მოძებნა ან გამოტანა. ბიბლიოთეკა ერთგვარი კუნძულის როლს ასრულებს, სადაც გამორთავ ტელეფონს და არაფერი გიშლის ხელს კონცენტრირებულად იმეცადინო. რა თქმა უნდა, სტიპენდიები უცხოელებისთვის არსებობს, მაგრამ მეტწილად გაცვლითი პროგრამის და ჰუმანიტარული მეცნიერების სტუდენტებისთვის. სამწუხაროდ, სამრეწველო დიზაინი ამ სიას არ მიეკუთვნება. თუმცა, მე ორჯერ მოვიპოვე სემესტრული დაფინანსება სტუდენტურ-ეკლესიური საზოგადოებისგან. ამ მხრივ, ჩემს ფაკულტეტზე, უცხოელი სტუდენტისთვის არანაირი შეღავათები არ არსებობდა, რის გამოც, სწავლის შემდეგ, ხშირად მუშაობა და ჩემი თავის შენახვა მიწევდა.

– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს ევროპულ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით? რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამების, ლექციებისა და პროფესორ მასწავლებლების შესახებ, რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?

– პირველ რიგში, უპირატესობა განათლების მიმართ ძალიან სერიოზულ დამოკიდებულებაში გამოიხატება. ამისთვის სახელმწიფო დიდ ფულს ხარჯავს. გერმანიაში სწავლა, უკვე ყველა მიწაზე უფასოა, თუ არ გავითვალისწინებთ სასემესტრო გადასახადს, რომელიც დაახლოებით 250 ევროს შეადგენს. ამით ყველას ეძლევა შანსი მიიღოს განათლება. იმედია ჩვენთანაც ასე იქნება და ყველას მიეცემა უმაღლესი განათლების უფასოდ მიღების შანსი. გადასახადების მხარდამჭერების არგუმენტი, რომ სტუდენტს უფრო მეტი მოტივაცია აქვს სწავლის მიმართ, როცა ის ფულს იხდის, არასწორად მიმაჩნია. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი მოტივაციას გმატებს, მაგრამ გერმანიის მაგალითი, სადაც სწავლა უფასოა, ცხადყოფს, რომ ყველაზე მთავარი მოტივატორი, ისწავლო და კარგი განათლება მიიღო, წარმატებული კარიერის, სოციალური სტატუსის და, აქედან გამომდინარე, მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება უნდა იყოს.

პროფესორ-მასწავლებლები კომპეტენტურები, პროფესიონალები და მომთხოვნები არიან. სწავლის დროს უამრავ ახალ ინფორმაციას იღებ და ვითარდები. ტექნიკური აღჭურვილობა მაღალ დონეზეა. არსებობს სახელმწიფო სტიპენდია (Bafög), რომლის მიღება ყველა გერმანელს შეუძლია, თუ მისი მშობლები მდიდრები არ არიან. სწავლის დროს არა ერთხელ გამოგვკითხეს, თუ რამდენად მოგვწონს ესა თუ ის ლექცია და ლექტორი. დისციპლინა და წესრიგი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნდამენტია გერმანული

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

განათლების სიტემის. ლექტორის ლექციაზე დაგვიანება იშვიათობაა, მისი გაკვეთილისთვის მოუმზადებლობა კი ფაქტობრივად გამორიცხულია. ყველა სასწავლებელს აქვს გაცვლითი პროგრამები და პარტნიორული ურთიერთობა უცხოელ სასწავლებლებთან. ხშირ შემთხვევაში, აუცილებელია ერთი სემესტრი ან პრაქტიკა გაიარო, ან საზღვარგარეთ ისწავლო.

– ამჟამად რა საქმიანობას ეწევი, მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას? როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

– ამჟამად ვცდილობ, დამოუკიდებლად, რამდენიმე ახალი კონცეპტი შევქმნა და ჩემი პორტფოლიო გავამდიდრო, რათა სამუშაოს პოვნის კარგი შანსი მქონდეს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ახლახან დავიწყე ჩემი საბაკალავრო პროექტით დიზაინის მნიშვნელოვან კონკურსებში მონაწილეობა. ამ ეტაპზე, გერმანიაში ვაპირებ დარჩენას და მუშაობას. ვფიქრობ, საქართველოში დასაქმებაში უცხოეთში მიღებული განათლება გადამწყვეტ როლს უნდა თამაშობდეს, მით უმეტეს გერმანიაში მიღებული განათლება და დიპლომი. თუმცა, ასევე ბევრი რამაა დამოკიდებული პიროვნებაზე. სამწუხაროდ, საქართველოში წარმოება ფაქტობრივად არ არსებობს და ჩემი პროფესიის ადამიანისთვის, ჯერჯერობით, სამუშაო არც არის.

– განათლების საზღვარგარეთ მიღება ქართველ ახალგაზრდებში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. თუმცა, სწორი არჩევანის გაკეთება, საჭირო გამოცდილებისა და ცოდნის გარეშე, ძნელია. რას ურჩევ საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მსურველ ახალგაზრდებს.

– პირველ რიგში, ახალგაზრდებს ვურჩევ, უკან არ დაიხიონ და ყველანაირად ეცადონ, დასახულ მიზანს მიაღწიონ. დამერწმუნეთ, ამას არასდროს ინანებენ, რადგან უდიდეს გამოცდილებას შეიძენენ. მაგრამ ეს ადვილი არ იქნება და მზად უნდა იყვნენ, გარკვეული პერიოდი მოიკლონ ძვირადღირებული ნივთები, ტანსაცმელი, უარი თქვან ხშირ მოგზაურობასა და გართობაზე. არიან სტუდენტები, რომლებიც სწავლის დროს ბევრს მუშაობენ, იმაზე მეტს გამოიმუშავებენ, რაც რეალურად საკმარისია ნორმალური ცხოვრებისთვის. სამაგიეროდ, სწავლას საჭირო დროს ვეღარ უთმობენ და დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავთ. ნუ დაუშვებთ ამ შეცდომას. ყველაფერი ერთად არ მოდის და ზოგჯერ საჭიროა რაღაცის მოკლება. პრიორიტეტის განსაზღვრა მნიშვნელოვანი უნარია. საზღვარგარეთ განათლების მიღების შანსი ყველას არ ეძლევა და ამის გამოყენება აუცილებელია, ერთგვარი პასუხისმგებლობაა. თავიდან ძნელი იქნება, მაგრამ თანდათან გაუგებთ სისტემას, აყვებით რიტმს, შეეჩვევით რეჟიმს და ახვალთ იმ მწვერვალზე, რასაც უცხოეთის დიპლომი ჰქვია. სანამ მიაღებ გამოცდებს ჩავაბარებდი, და საერთოდ, ადგილს მივიღებდი, უცხოეთის დიპლომი ჩემს პროფესიაში რაღაც აუღებელი ევერესტი მეგონა, მაგრამ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ მწვერვალზე მეც ავედი. ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებული ჭკუით და დისციპლინით გამოვირჩევი, მაგრამ მოტივაცია დიდი ძალაა. ასე რომ, დასაწყისში არ შეშინდეთ და თუ რომელიმე საგანში ჩაიჭრებით, უკეთ მოემზადეთ. ჩემი რჩევა იქნება: ნუ აჩქარდებით, მაგალითად, გერმანიაში შეიძლება რეგულარული სწავლის პერიოდის გადაცილება, ასე რომ, ჯობია კარგად მოემზადოთ გამოცდებისთვის, მით უმეტეს – სადიპლომო პროექტისთვის/ნაშრომისთვის. ყოველი სიძნელის დროს, იფიქრეთ თქვენს პასუხისმგებლობაზე, ოჯახზე, სამშობლოსა და ბედზე. იფიქრეთ იმაზე, რომ რაც უფრო მეტს იშრომებთ, მით უფრო დაგიფასდებათ ინტელექტუალური შრომა. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ კარგი ნიშნებით თქვენ საქართველოს ასახელებთ. იმედია, ეს რჩევები პათეტიკურად არ ჟღერს. ეს ის მიდგომაა, რომელიც ბევრჯერ დამეხმარა. მახსოვს, ყოველი კარგი ნიშნის მიღების დროს, პროფესორები ინტერესდებოდნენ ჩემით, მეკითხებოდნენ – *„შენ, რომელი ქვეყნიდან ხარ?“*, ვპასუხობდი – *„საქართველოდან!“* და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სასწავლებლად რომელ ქვეყანაშიც წახვალთ, აუცილებლად დააკვირდით იქაურ აზროვნებას და საქმისადმი მიდგომას. შეისრუტეთ ამ დაკვირვებიდან მიღებული ცოდნა და მაქსიმალურად გამოიყენეთ.

– შენი ინტერესთა სფერო საკმაოდ მრავალფეროვანია – მეცნიერება, ფილოსოფია, ასტრონომია, ისტორია, პოლიტიკა, სპორტი... ხომ არ გაგვიზიარებდი რომელიმე სფეროდან კონკრეტულ საკითხს, რომელიც ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება?

– ძნელია ერთი კონკრეტული საკითხის გამოყოფა... ვარსკვლავების შემხედვარე, გიფიქრიათ ალბათ: „იყურება თუ არა ახლა, სადმე იქ, ვინმე... ასე ჩემსავით კოსმოსში და ფიქრობს თუ არა იგივეს, რასაც მე?“ საქმე იმაშია, რომ როცა ცაში ვიხედებით და ვარსკვლავებს ვაკვირდებით, ჩვენ მათ წარსულში ვიხედებით. სამყარო იმდენად დიდია, რომ მზის სისტემები ძალიან დაშორებულია ერთმანეთს. მზის სხივს, ინფორმაციის მატარებელს, გარკვეული დრო სჭირდება, ჩვენამდე რომ მოაღწიოს რომელიმე პლანეტიდან თუ მზიდან. ჩვენგან რაც უფრო შორსაა პლანეტა, მით უფრო დიდი დრო გვჭირდება, ის რომ დავინახოთ. მაგალითისთვის: უცბად ჩვენი მზე რომ ჩაქრეს, ერთ წამში, ჩვენ ამას 8 წუთის მერე დავინახავთ, მანამდე კი, ჩვენთვის ის 8 წუთის განმავლობაში ისევ იკაშკაშებს. წარმოიდგინეთ, ცაში რომელიმე ვარსკვლავს ვუყურებთ, ამ დროს კი, შესაძლებელია, ის უკვე აღარც არსებობს... წარმოიდგინეთ, რომ გქონდეთ ისეთი ტელესკოპი, რომლის მეშვეობითაც შეძლებდით, რომელიმე ეკზოპლანეტის ზედაპირის ძალიან კარგად დანახვას. დაკვირდებოდით რომელიმე პლანეტას და ნახავდით იქ დინოზავრებს... ან პრიმიტიულ ადამიანებს, რომლებიც ცეცხლის დანთებას სწავლობენ... სინამდვილეში კი, იქ ახლა შეიძლება უკვე კოსმოსში დაფრინავენ და კვანტურ კომპიუტერებს ხმარობენ! იქნებ ჩვენც გვიყურებს ვინმე შორეული პლანეტიდან და ჩვენთან დინოზავრების ან ანტიკურ ეპოქას აკვირდება... რომის იმპერიის დაცემას... ან კიდევ იმას, თუ როგორ წერდა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანს“. ეს ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი აზრია, რაც წამიკითხავს.

საერთოდ, ძალიან კარგია, როცა ადამიანს ბევრი რამ აინტერესებს, მრავალმხრივი ინფორმირებულობა კრეატიული აზროვნების საწინდარია, რაც ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია და გამოსადეგი. გიყალიბდება უნარი, რომელიმე პრობლემის გადაჭრის დროს, სხვადასხვა პოტენციური გზები გამონახო, ნებისმიერ საგანს ან საკითხს, სხვადასხვა პერსპექტივიდან შეხედო. ერთი სიტყვით, მრავალფეროვანი ინტერესთა სფერო, მინიმუმ, საინტერესო მოსაუბრედ მაინც გაგხდის. ამასთან ერთად, ადამიანი თუ ფილოსოფიითაა დაინტერესებული, ეს კიდევ უფრო კარგია. ზოგს ჰგონია, ფილოსოფია მოსაწყენი ტერმინები და ფილოსოფოსთა ჩახლართული მსოფლმხედველობაა. გარკვეულწილად შესაძლოა ასეცაა, მაგრამ ფილოსოფია, პირველ რიგში, სიბრძნისკენ მისწრაფება და აზროვნებაა. ვფიქრობ, აუცილებელი არაა ბევრი ფილოსოფოსის სახელის და მსოფლმხედველობის ცოდნა, საკმარისია კითხვების დასმის უნარი, რაღაცების ეჭვქვეშ დაყენება, როგორც სამყაროს, ასევე ადამიანების ქცევებზე დაკვირვება და ანალიზი. ეს ყველაფერი კი განვითარების წინაპირობაა, რასაც ცხოვრებაში პრაქტიკული წარმატება მოჰყვება. რომ შემეძლოს, ფილოსოფიას აუცილებელ, სავალდებულო სასკოლო საგნად გავხდიდი.

– ბესო, დამეთანხმები ალბათ, როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, მეტს ფიქრობს სამშობლოზე. საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი ადამიანი სხვაგვარად აფასებს საკუთარ ღირებულებებს. როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ევროპა ისეთებს, როგორებიც ვართ, თუ ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს? შენი აზრით, რა მოგცა გერმანიაში გატარებულმა პერიოდმა ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული?

– ძალიან ბევრი რამის შეცვლა და გაუმჯობესება გვჭირდება. პირველ რიგში, ჩვენ უნდა მივიღოთ ჩვენი თავი ევროპელებად. როგორც ვამჩნევ, ზოგს ეს არ უნდა. მიჯაჭვულია წარსულს და სრულიად უსაფუძვლოდ „იდენტობის დაკარგვის“ ეშინია. მათთვის ევროპა გარყვნილების განსახიერებაა. ამ დროს კი, იმ ტექნიკით სარგებლობენ, იმ ფილმებს უყურებენ, იმ მუსიკას უსმენენ, რაც ევროპასა და ამერიკაში შეიქმნა, იმ მიღწევებით ცხოვრობენ, რაც მათ გამოიგონეს. ავიწყდებათ, რომ სოკრატე, მარკუს ავრელიუსი, ლეონარდო და ვინჩი, კოპერნიკი, გოეთე, შექსპირი, კანტი, ჰეგელი, აინშტაინი და მრავალი სხვა გამორჩეული პიროვნება ევროპელები იყვნენ. გარდა ამისა, ელემენტარული საზოგადოებრივი ქცევის ნორმები უნდა გვქონდეს: რიგში დგომა, მეტროს ვაგონიდან თუ ავტობუსიდან ჯერ გამომსვლელის გამოშვება და მერე შესვლა, ფეხით მოსიარულეთა გზაზე მანქანის არგაჩერება, ნაგვის არდაყრა, გზის დათმობა, განსხვავებული აზრის ტოლერირება და მრავალი ის თვისება, რის გარეშეც ევროპელები ვერ გავხდებით. მაგრამ ეს არ კმარა, უფრო სიღრმისეული მენტალური რევოლუციის გარეშე უკეთეს სახელმწიფოს ვერ შევქმნით. აუცილებელია ბევრი რამის გადაფასება: ჩვენთვის დამახასიათებელი არაადეკვატური სიამაყის განდევნა; სიზარმაცის გადალახვა; საქმის კეთების დროს იდეალურობისკენ მისწრაფება და არა მიფუჩეჩება; მაქსიმალისტური მიზნების დასახვა და არა მცირედი წარმატებით კმაყოფილება; ძაღლის ან კატის შესაბამის თავშესაფარში ჩაბარება და არა მათი გარეთ უმოწყალოდ გაყრა; ბუნების დაცვა და სიყვარული; ანალიტიკურ-რაციონალური აზროვნების განვითარება, პასუხისმგებლობის მნიშვნელობის უკეთ გააზრება და კიდევ ბევრი რამ. ამ ყველაფერს მივაღწევთ, როცა განათლების სისტემა იქნება პრიორიტეტული, ყველასთვის მისაწვდომი და, რაც მთავარია – ეფექტური. ჩვენ თუ არ გვყოფნის გამოცდილება და ინტელექტუალური ძალა, ასეთი სისტემა შევქმნათ, მაშინ გამოვყოთ ფული ბიუჯეტიდან, ჩამოვიყვანოთ, მაგალითად, გერმანელი სპეციალისტები და ახალი სისტემა მათი დახმარებით ვაშენოთ. მესმის, რომ ეს ადვილი არაა, მაგრამ დიდი მიზნების მიღწევა ხომ ადვილი არასდროს ყოფილა. ყველაფერი ეს, რაც ჩამოვთვალე, ფუნდამენტალური და მტკივნეული ცვლილებებია, რის განხორციელებას ძლიერი იმპულსი და მოტივაცია სჭირდება. ადამიანმა თუ კარგად არ დაინახა და გაიაზრა ის ჯილდო, რაც ელოდება შრომისა და ცვლილებების მერე, ხელს არ გაანძრევს. ამიტომ მთავრობა, ასევე, უნდა ეწეოდეს ამ ყველაფრის პროპაგანდას და ხალხისთვის იმ ნათელი და წარმატებული მომავლის წარმოდგენას, რაც გველოდება. მარტო მთავრობის იმედზეც არ უნდა ვიყოთ, პირველ რიგში, ყველა ჩვენთაგანმა საკუთარი თავით უნდა დავინყოთ გარდაქმნა და გაუმჯობესება. ვფიქრობ, ევროკავშირში ჩვენ მაინც კარგა ხანი არ მიგვიღებენ, გაფართოებაზე ლაპარაკი უკვე აღარ სურთ, მაგრამ ჩვენი მიზანი, პირველ რიგში, განვითარება უნდა იყოს, ევროპა კი, როგორც სამაგალითო მოდელი.

რაც შემეხება მე, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი რაც გერმანიაში გატარებულმა დრომ მომცა, არის: ჩემი პროფესია, სიძნელეების გადალახვის გამოცდილება, ბევრ რამეზე დაფიქრების და გაანალიზების უნარი, პერფექციონიზმისკენ მისწრაფება და სხვადასხვა კულტურების გაცნობა. გერმანული ენის ცოდნამ გამიხსნა კარი ბევრი საინტერესო ინფორმაციისკენ და ალტერნატიული ევროპული სამყაროს შემეცნებისკენ.

ესაუბრა მაკა ყიფიანი

ინფორმაცია

59-ე საჯარო სკოლის ეზოში 700 ძირი ხე დაირგო

გლდანის რაიონის 59-ე საჯარო სკოლის ეზოში გამწვანების აქცია გაიმართა. საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ერთად, გამწვანების აქციაში მონაწილეობდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, თბილისის მერი **დავით ნარმანია**, სამინისტროს თანამშრომლები, მანდატურები, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი **ბიძინა გიორგობიანი**.

სკოლის ტერიტორიაზე, პირველ ეტაპზე, 500 კვიპაროსის, 100 იფანისა და 100 ნეკერჩხლის ნერგი დაირგო. პროექტის მეორე ეტაპზე, სკოლის ეზოში დაახლოებით 800 ძირი ხე დაირგვება.

საჯარო სკოლების ეზოების გამწვანების პროექტის ფარგლებში, რომელიც თბილისში მდებარე 60 საჯარო სკოლას მოიცავს, ამ დროისთვის დარგულია 6 100 ფოთლოვანი და 1000 წიწვოვანი ჯიშის ნერგი. პროექტის მიხედვით, ჯამში, საჯარო სკოლების ეზოები 10 000 ფოთლოვანი და წიწვოვანი ჯიშის ხე-მცენარით განაშენიანდება.

როგორც საჯარო სკოლებში, ასევე სხვა ობიექტებზე, მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ დარგული მცენარეების მოვლა-პატრონობას ამავე სამსახურის კონტრაქტორი კომპანიები უზრუნველყოფენ. ისინი ვალდებული არიან, გახმობის შემთხვევაში, ნარგავები შესაბამის სეზონზე ახალი ნერგებით ჩაანაცვლონ.

განათლების სამინისტროსა და World Vision-ს შორის მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ორგანიზაცია World Vision-ს შორის ურთიერთობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ლია გიგაურმა** და World Vision საქართველოს პროგრამების დირექტორმა **ეკა ჟვანიამ**.

მემორანდუმის მიზანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და WVG-ს შორის თანამშრომლობა და სკოლამდელი განათლების სფეროს მხარდასაჭერად ერთობლივი პროექტების განხორციელება მომავალი სამი წლის განმავლობაში. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, განხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- სასკოლო მზაობის პროგრამის შექმნის პროცესის მხარდაჭერა;
- ადრეული, სკოლამდელი და სასკოლო მზაობის განათლების და განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის შექმნის პროცესის მხარდაჭერა;
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროს აღმზრდელ-პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების მხარდაჭერა;
- საქართველოს რეგიონებში სასკოლო მზაობის მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა;
- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის სასკოლო მზაობის ხელშეწყობა;
- ადრეული, სკოლამდელი და სასკოლო მზაობის სექტორის მხარდასაჭერად მიმართული სხვა ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.

ორგანიზაცია World Vision საქართველო აქტიურად იყო ჩართული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სკოლამდელი განათლების სფეროს მხარდასაჭერად განხორციელებულ ღონისძიებებში, კერძოდ, სასკოლო მზაობის პროგრამისა და ადრეული და სკოლამდელი განათლებისა და განვითარების სტრატეგიის მომზადების პროცესში, სფეროს სპეციალისტებისათვის გამართული სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზების, საქართველოს რეგიონებში სკოლამდელი განათლების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებაში.

ინფორმაცია

მონიტორინგი, რომელიც სკოლამდელი განათლების სფეროში ცვლილებების აუცილებლობას ადასტურებს

სახალხო დამცველის ოფისი, 2014 წლის 1 მაისიდან, მიმდინარე წლის 31 იანვრის ჩათვლით, მაღალმთიან რეგიონებში არასრულწლოვანთა უფლებრივ მდგომარეობას და, საქართველოს მასშტაბით, სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში არსებულ ვითარებას სწავლობდა. მონიტორინგის არც თუ სახარბიელო შედეგები ომბუდსმენმა **უჩა ნანუაშვილმა** 3 აპრილს წარმოადგინა. შედეგების საერთო სურათს ომბუდსმენი ასე ახასიათებს: *„მაღალმთიან რეგიონებში ძალიან მაღალია სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ბავშვების რაოდენობა. შესაბამისად, მათი უზრუნველყოფა, თუნდაც აღმზრდელობითსაგანმანათლებლო რესურსებითა და პროგრამებით ძალიან პრობლემატურია. საუბარია იმაზე, რომ ადგილი აქვს ძალადობის ფაქტებს ბავშვთა მიმართ, მსხვერპლ ბავშვებთან დაკავშირებით არანაირი ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის პროგრამები არ ხორციელდება“.*

მონიტორინგი გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა. *„გაეროს ბავშვთა ფონდი განაგრძობს სახალხო დამცველის ოფისის მხარდაჭერას ბავშვის უფლებათა მონიტორინგის გაძლიერების საქმეში. ჩვენ ერთად შეგვიძლია ავიმაღლოთ ხმა ყველაზე დაუცველ ბავშვთა უფლებებისათვის და ვიზრუნოთ ყველა ბავშვის თანასწორუფლებიანობისათვის. პარლამენტში განსახილველად წარდგენილი „კანონი ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ“ უზრუნველყოფს, ბავშვს ჰქონდეს უკეთესი გარემო სწავლისა და განვითარებისათვის; ბავშვი იღებდეს მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებას, რადგან მასწავლებლებს ექნებათ უკეთესი პროფესიული უნარები და ცოდნა; ყველა 5 წლის ასაკის ბავშვი უკეთ იყოს მომზადებული სკოლისათვის სავალდებულო მოსამზადებელი წლის შედეგად. აღნიშნული კანონი, რომელიც იმედია მალე დამტკიცდება პარლამენტის მიერ, უზრუნველყოფს, რომ ყველა ბავშვი მზად იყოს სკოლისათვის და იღებდეს მაქსიმალურ სარგებელს სკოლამდელი განათლებიდან“*, – განაცხადა **საშა გრაუმანმა**, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში.

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბაღების 70%-ში ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები დაფიქსირდა, 40%-ში კი – ფიზიკური ძალადობის და სხეულებრივი სასჯელის გამოყენების პრაქტიკა. ამ ფაქტებზე თვითონ აღმზრდელები ლაპარაკობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ იდენტიფიცირებული არ აქვთ, რომ ეს არის ძალადობა. აღმზრდელების 30% საკვების შემცირებას იყენებს, როგორც დასჯის მეთოდს, 75% – თამაშის უფლების შეზღუდვას და ბავშვის ძალადობისგან დაცვის რეფერირება, ფაქტობრივად, უმოქმედოა. ამასთან ერთად, საბავშვო ბაგა-ბაღების დიდი ნაწილი ფუნქციონირებს არასათანადო ინფრასტრუქტურული და სანიტარიულ-ჰიგიენური გარემოს პირობებში. ასევე გამოიკვეთა აღმზრდელ-პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ნაწილში არასათანადოდაა დაცული კვების სტანდარტი. არატოლერანტული და დისკრიმინაციული დამოკიდებულება გამოიკვეთა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აღსაზრდელთა მიმართ. მონიტორინგი განხორციელდა მესტიაში, ბათუმში, ხულოში, შუახევში, ქედაში, ახმეტაში, ონში, ამბროლაურში, ყაზბეგში, ქუთაისში, წყალტუბოში, თერჯოლაში, სამტრედიაში, თელავში, სიღნაღში, მცხეთაში, რუსთავსა და მარნეულში.

მონიტორინგის დასკვნების შედეგად, მაღალმთიან რეგიონებში არასათანადოდ ხორციელდება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური პროგრამები – უკიდურეს და ფარდობით სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვთათვის სათანადო საცხოვრებელი და სასწავლო-სააღმზრდელო რესურსით უზრუნველყოფა, ბავშვთა მიმართ ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვისათვის საჭირო რეფერირების პროცედურები, ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, ჯანმრთელობის უფლების ხელმისაწვდომობა, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ზოგადი განათლება. დღემდე პრობლემურია შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა ჯანმრთელობის უფლების დაცვის საკითხი და ინკლუზიური განათლების დანერგვის ხარისხი, მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის ქვეპროგრამების განხორციელება. კვლევის გეოგრაფიული არეალი მოიცავდა მესტიის, ყაზბეგის, ახმეტის, ონის, ამბროლაურის, ხულოს, შუახევისა და ქედას ტერიტორიულ ერთეულებს.

უფრო კონკრეტულად კი, მაღალმთიან რეგიონებში უკიდურეს და ფარდობით სიღარიბეში მცხოვრებ ოჯახებს არა აქვთ წარმოდგენა იმაზე, თუ რა სახელმწიფო პროგრამებზე შეიძლება მიუწვდებოდეთ ხელი, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის პრობლემაც იკვეთება. ამის თაობაზე სახალხო დამცველის ბავშვთა უფლებების ცენტრის ხელმძღვანელი **მაია გედევანიშვილი** აცხადებს, რომ: *„პირველადი ჯანდაცვის ცენტრებს არ აქვს ფუნქციონირებადი შენობები. ზოგი მათგანი ბიბლიოთეკაშია განთავსებული, ზოგი სკოლაში, ზოგი მიტოვებულ შენობაში და არადამაკმაყოფილებელია მთელი რიგი ცენტრების საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფა. ამბროლაურის 21 ამბულატორიას 3 პედიატრი და ერთი ექთანი ემსახურება. 21 ამბულატორია ნიშნავს 21 სოფელს. შუახევის 11 ამბულატორიას, ანუ 11 სოფელს, 1 პედიატრი და 1 ექთანი. ასე რომ, რთული ვითარებაა“.*

სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოს უფროსი **ეთერ ცხაკაია** მიიჩნევს, რომ გასააქტიურებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ადგილებზე სოციალური მუშაკების საქმიანობა, რათა ყველასთვის გასაგები და ხელმისაწვდომი იყოს სახელმწიფო პროგრამები:

„თითოეული ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარე, ხშირად გვაქვს თანამშრომლობა თვითმმართველობებთან. ზოგიერთ რაიონში უფრო აქტიურია ეს თანამშრომლობა, ზოგიერთში ნაკლები. ყოველ შემთხვევაში, ინფორმირებას ახორციელებენ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის და, ალბათ, უფრო მეტი საინფორმაციო კამპანიაა საჭირო“.

საშა გრაუმანის აზრით, ომბუდსმენის ანგარიში ბევრ საყურადღებო ფაქტს მოიცავს, რომელიც რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს: *„ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ საქართველოში ბავშვებისათვის, განსაკუთრებით კი ღარიბი ფენისათვის, სკოლამდელი განათლება საკმარისად ხელმისაწვდომი არ არის. ზოგადად, დამაკმაყოფილებელი არ არის არსებული სკოლამდელი განათლების ხარისხიც. სახალხო დამცველის ანგარიში ამ თემაზე რამდენიმე მნიშვნელოვან რეკომენდაციას მოიცავს. ჩვენ, განათლების სამინისტროსთან ერთად, ჩართული ვიყავით სკოლამდელი განათლებისა და ადრეული განათლების შესახებ იმ ახალი კანონის შემუშავების პროცესში, რომელმაც სკოლამდელი ასაკის დაწესებულებებში განათლების ხარისხის გაუმჯობესება უნდა უზრუნველყოს. ეს კანონი ასევე აწესებს სკოლისთვის მოსამზადებლად ხუთი წლის ასაკის ბავშვებისათვის, სავალდებულო ერთწლიან პერიოდს, რაც, იმედი გვაქვს, საქართველოში სკოლამდელი განათლების მხრივ არსებულ ვითარებას გააუმჯობესებს“.*

სახალხო დამცველმა რეკომენდაციები შესაბამის სამინისტროებს უკვე მიაწოდა. მისი თქმით, მრავალ პრობლემას შორის, ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტები ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია, ასევე, პრობლემად რჩება ინფრასტრუქტურული, ჰიგიენური და პედაგოგთა კვალიფიკაციის საკითხები; სოციალური პროექტების არაეფექტურობა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა.

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა – პროფესიის სწორად არჩევის წინაპირობა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, მეორე წელია, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამას ახორციელებს, რომლის მიზანია IX-XI კლასის მოსწავლეების დახმარება საკუთარი შესაძლებლობების ადეკვატურად შეფასებასა და განვითარებაში, რაც საბოლოოდ მათ პროფესიის არჩევაში დაეხმარება.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენლები, 7 აპრილს, თბილისის 47-ე საჯარო სკოლაში, პროფორიენტაციის ღია გაკვეთილს დაესწრნენ, უფროსკლასელებს გაესაუბრნენ და მათი შეფასებები მოისმინეს.

თამარ სანიკიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„ეს გაკვეთილები მათ ეხმარებათ საკუთარ თავში აღმოაჩინონ ის უნარები, რომელიც შემდეგ პროფესიის არჩევაში დაეხმარებათ. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა და საინტერესოდ მიმდინარეობს. აუცილებელია, გავაძლიეროთ ის კომპონენტი, რომელიც ექსკურსიების ნაწილში ხორციელდება და გულისხმობს უშუალოდ იმ პროფესიების რეალურ ცხოვრებაში ნახვას, რომელიც მოსწავლეებს დააინტერესებთ“.*

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამას კონკურსის წესით შერჩეული კონსულტანტები ახორციელებენ, რომელთაც გადასამზადებელი ტრენინგები შემდეგი მიმართულებით გაიარეს: პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ძირითადი ასპექტები, კომუნიკაცია, მოზარდის ასაკობრივი თავისებურებები. 2013-2014 სასწავლო წელს პროგრამა 107 საპილოტე სკოლაში განხორციელდა, 2014-2015 სასწავლო წელს საპილოტე სკოლების რაოდენობა 482-მდე გაიზარდა.

ყველა საპილოტე სკოლაში, თვეში ერთხელ, სადამრიგებლო საათის ფარგლებში, პროფკონსულტანტები, კლასის დამრიგებლებთან ერთად, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილებს ატარებენ. დამრიგებლები ამისათვის სპეციალურ გადამზადების კურსს გადიან. მასწავლებელთა გადასამზადებელი ტრენინგ-მოდულების მომზადებაში, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კოორდინატორებთან ერთად, ჩართულია სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება და ხორციელდება ექსკურსიები ორგანიზაციებსა და საწარმოებში და ასევე, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. საპილოტე სკოლებში ეწყობა შეხვედრები განსხვავებული პროფესიის წარმომადგენლებთან, რომლის ფარგლებშიც, მოსწავლეებს საშუალება აქვთ უკეთ გაეცნონ მათთვის საინტერესო პროფესიის ძირითად მახასიათებლებსა და იმ პროფესიებს, რომელიც შრომით ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადია. პროგრამა ხელს უწყობს სკოლებისა და დამსაქმებლების ერთმანეთთან დაკავშირებას და თანამშრომლობას.

ლანა გოგრიჭიანი, 47-ე საჯარო სკოლის მოსწავლე: *„არაჩვეულებრივი პროექტია. საინტერესო და შემოქმედებითი გაკვეთილები ჩაგვიტარდა, რომელიც, ამავდროულად, სახალისოცაა. მოგვეცა საშუალება, საკუთარი თავის რეალიზება მოგვეხდინა და დავრწმუნებულიყავით სამომავლო პროფესიის არჩევის გადაწყვეტილების სიმტკიცეში.“*

მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილემ, **ლევან ზარდალიშვილმა,** პროექტს იმაზე უკეთესი შედეგები უწინასწარმეტყველა, ვიდრე ეს დაგეგმილია: *„დაინტერესება დიდია და ასეც უნდა იყოს, რადგანაც ეს არის პროექტი, რომელიც, პრინციპში, ჩვენთან აქამდე არ განხორციელებულა. მოსწავლეებმა იციან, რომ კარიერა უნდა გაიკეთონ – იმუშაონ და მომავალი დაგეგმონ. აქედან გამომდინარე, ისინი თავიდან ბოლომდე ჩაერთვნენ ამ პროცესებში და რაც, მთავარია, დიდი ინტერესით. დარწმუნებული ვარ, რომ პროექტი ბევრად უფრო კარგ შედეგს გამოიღებს, ვიდრე ჩვენ დავგეგმეთ“.*

ოლიმპიადამ დასავლეთში გადაინაცვლა

საქართველოს მასშტაბით გრძელდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, რომელსაც, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის და მეცნიერებისა და განათლების სამინისტროების პატრონაჟით, ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია ატარებს დევიზით – ვისწავლოთ გამარჯვება. შეგახსენებთ, რომ ეს კომპლექსური ღონისძიება საპილოტეა, ანუ წელს პირველად ტარდება. შეჯიბრებები სპორტის ოთხ სახეობაში – მინი-ფეხბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და მძლეოსნობაში ქვეყნის 11 ქალაქში იმართება.

თავდაპირველად ოლიმპიადაში, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონები ჩაერთნენ, თუმცა შეჯიბრებამ უკვე დასავლეთშიც გადაინაცვლა. ზუგდიდის შესახებ ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით, ოლიმპიადას კი უკვე ქუთაისმაც უმასპინძლა. იქ ასპარეზობები კალათბურთში ჩატარდა, სადაც გოგონებში №12 საჯარო სკოლამ №34-ს მოუგო, №37 სკოლამ კი №23-ეს გუნდს მოუგო. გამარჯვებულები შემდეგ ეტაპზე გადავიდნენ. ბიჭებში ანალოგიური უფლება პირველი საჯარო სკოლის ნაკრებმა მოიპოვა №23 სკოლის დამარცხების შემდეგ, №3 სკოლამ კი №14-ს აჯობა.

თელავში სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები დასასრულს უახლოვდება. მაგიდის ჩოგბურთში, ადგილობრივ ტურნირში, გაიმარჯვეს და ანაკლიაში, ფინალურ თამაშებში, გამოსვლის უფლება მოიპოვეს **ელენე ბენდიანიშვილმა** თელავის №7 სკოლიდან და **ზურაბ იარაძემ** №1 საჯარო სკოლიდან.

მინი-კალათბურთში ბადალი არ ჰყავდა თელავის №1 საჯარო სკოლას, რომლის გუნდმაც გაიმარჯვა გოგონებშიც და ბიჭებშიც. გოგონებმა ფინალში №31 საჯარო სკოლას სძლიეს, ბიჭებმა კი ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის კერძო სკოლის გუნდი დაამარცხეს. მძლეოსნურ ესტაფეტაში №9 საჯარო სკოლის გუნდმა გაიმარჯვა, რომელმაც ფინალში №4 სკოლა დაამარცხა. მინი-ფეხბურთის ტურნირი №3 საჯარო სკოლამ მოიგო, რომელმაც №9 სკოლას აჯობა და ანაკლიის საგზური მოიპოვა. „მხიარულ სტარტებში“ ჩემპიონობა თელავის №8 სკოლის გუნდმა ირგუნა.

მორაგბეთა ისტორიული წარმატება

უფროსი „ბორჯღალოსნების“ კვალდაკვალ, საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი უმცროსი მორაგბეებიც ჩინებულად ასპარეზობენ. მარტის ბოლოს ეროვნულმა ნაკრებმა რუმინეთში, „მუხის ფოთლების“ ძლევით ევროპის ახალმოვლენილი ჩემპიონატი მოიგო (ადრე სხვა სახელი ერქვა), ერთ კვირაში კი მორაგბეთა 18-წლამდელთა ნაკრებმა, საფრანგეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში, ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა – ჯერ მეოთხედფინალში ირლანდია დაამარცხა, რაც უკვე წარმოუდგენელი გმირობა იყო, მაგრამ „პატარა ბორჯღალოსნები“ ამასაც არ დასჯერდნენ და 31 მარტს, ნახევარფინალში, „სამყურებს“ იტალიაც ზედ მიაყოლეს. ფინალში ჩვენები მასპინძელ ფრანგებთან 0:57 დამარცხდნენ და მეორე ადგილს დასჯერდნენ.

საინტერესოა, რომ ქართველი მორაგბეების მიერ მოგებულ ორივე შეხვედრაში ძირითადი დრო ფრედ დასრულდა – ირლანდიასთან 8:8, იტალიასთან 6:6 და ორივე შეხვედრაში ჯარიმების სერიაში ვიმარჯვეთ. ეს საფეხბურთო მატჩის შემდგომი პენალტების სარაგბო ანალოგიაა, სადაც მეტოქეები 5-5 საჯარიმოს ურტყამენ. საბედნიეროდ, ორივეში უფრო ზუსტები ჩვენები აღმოჩნდნენ, რამაც საბოლოოდ ვერცხლის მედლები მოუტანათ.

გადამწყვეტ შეხვედრაში ასეთი სხვაობით წაგების მიუხედავად, ეს წარმატება ქართული რაგბისთვის მაინც უდიდესი მიღწევაა. შეიძლება ითქვას – ისტორიულიც, რადგან პირველად ვძლიეთ 6 ერის წარმომადგენელს. თან, ერთბაშად ორს, ხოლო რამდენიმეს შედეგით გავუსწარით. ეს ყველაფერი მონაპოვარს კიდევ უფრო ფასეულს ხდის.

უმცროსი მორაგბეების ეს წარმატება ზუსტად რომ დროულია და, ვინძლო, ის დიდ რაგბსაც დაეხმაროს ევროპულ წრეებში ინტეგრაციაში. რაგბი ფრიად კონსერვატიული სპორტია, სადაც სიახლეებს ძნელად ნერგავენ, ხოლო ბობოლები ახლებს კიდევ უფრო ძნელად უყადრებენ თავს. არადა, ჩვენი ეროვნული ნაკრების რუმინეთში გამარჯვებისა და ამ ტურნირის ზედიზედ მეხუთედ მოგების შემდეგ, სწორედ ევროპაში დაიწყო აქტიური ლაპარაკი იმაზე, რომ როგორმე საქართველო ჩართონ ზემოხსენებულ ექვსი ერის გათამაშებაში, რომელიც ევროპული რაგბის უმაღლესი ელიტაა. ამაზე უკვე ხმამაღლა საუბრობენ ავტორიტეტული ევროპული სარაგბო გამოცემები, სატელევიზიო თოქ-შოუებში – იქაური ვარსკლავები. მაგალითად, ბრიტანული the telegraph-მა პირდაპირ მოუწოდა, გააღეთ ექვსი ერის კარი საქართველოსთვისო, ხოლო ტელეკომპანია BBC-უელსის სტუდიაში სტუმრად მიწვეულმა ცნობილმა ბრიტანელმა ვეტერანმა მორაგბეებმა – **კინგსლი ჯონსმა** და **მარტინ უალიამსმა** – გამოთქვეს იდეა, საქართველოს ხარჯზე ხომ არ გადააკეთონ 6 ერი 7-დად. მათ ჯერ ვერ წარმოუდგენიათ, 6 ერი ჩაატარონ იტალიის და შოტლანდიის გარეშე (ახლა სწორედ მათ ჩანაცვლებაზეა ლაპარაკი, რადგან ბოლო ორი წელიწადი წარუმატებლად გამოდიან და მაჩანჩალობას ვერ გასცდნენ), მაგრამ საქართველოს მზარდ პოტენციალსაც ხედავენ, თუმცა ჯერ აფიქრებთ ის გარემოება, რომ ეროვნულ ნაკრებთა დონეზე იმ ექვსეულთან არ მოგვიგია. მეტიც – საკმაოდ დიდი სხვაობით ვაგებთ. და აი, ამ პირობებში, პატარა ქართველების მიერ ბობოლა ექვსეულის ერთბაშად ორ წარმომადგენელთან გამარჯვება მალამოდ წაგვეცხება – ეს ცხვირაბზუებულ ევროპელებს პოზიციების გადახედვას კიდევ უფრო დააჩქარებინებს. მით უფრო, რუმინელებთან გამარჯვების შემდეგ ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა რეიტინგში იტალიას გადაუსწრო.

ერთი მარცხის დეფექტი

საქართველოს 14-წლამდელ კალათბურთელთა ნაკრები წარმატებით გამოვიდა ლატვიურ ვენტსპილსში, ევროპის ახალგაზრდული ლიგის III ეტაპზე, თუმცა სანუკვარი მიზანი – ფინალურ ეტაპზე გადასვლა მაინც მიუღწეველი დარჩა. არადა, ჩვენებმა მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმეს – მასპინძლებთან, რაც საბედისწერო გამოდგა.

შეჯიბრების პირველ დღეს ერთბაშად ორ რუსულ გუნდს მოუგეს – სანკტ-პეტერბურგის „ვასილოოსტროვსკაიას“ 72:57, სამიოდ საათში კი „ენისეის“ 89:58 აჯობეს.

ის ერთადერთი მარცხი ქართველებმა მეორე დღეს იწვნიეს მასპინძელთა გუნდ „სპარსსთან“, თუმცა კი ოვერტაიმში დათმეს – 66:64. არადა, პირველი ტაიმის შემდეგ ჩვენები 11 ქულით იგებდნენ. სამწუხაროდ, მეორეში უპირატესობა თანდათან დათმეს და შეხვედრის ბოლოს უკვე 54:59 აგებდნენ. განსაკუთრებით დრამატული ბოლო წუთები აღმოჩნდა, როცა **ნიკა ნიკოლაიშვილმა** ჩინებულად ითამაშა – ორჯერ ჩაუჭრა მეტოქეს და ორივე გამოიყენა. მან ჯერ სამქულიანი ჩააგდო, მერე – ორიანი და ანგარიშიც გაათანაბრა. შეხვედრა ოვერტაიმში გაგრძელდა, სადაც წინ ისევ მასპინძლები გავიდნენ. ნიკოლაიშვილმა 16 ქულა დააგროვა, თუმცა ჩვენს გუნდში კიდევ უფრო მეტად **ლაშა მიქელაძემ** გამოიჩინა თავი – 19 ქულითა და 5 მოხსნით არა მარტო ჩვენი, არამედ მთლიანად შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

იმავე დღეს ჩვენებმა ვენტსპილსელთა ჯავრი სომხურ „გრანდ სპორტზე“ იყარეს, რომელიც სულაც ვერ გამოდგა გრანდი – ქართველებმა დიდი ანგარიშით, 76:32, მოუგეს. ჯგუფის ბოლო შეხვედრაში ჩვენმა კალათბურთელებმა პოლონურ „პომერანიას“ არანაკლებ შთამბეჭდავი სხვაობით – 92:46 აჯობეს.

ამდენად, ჯგუფური ეტაპი 4 მოგებითა და 1 მარცხით დასრულეს, რითაც ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ, მასპინძელთა შემდეგ. მთლიანობაში, ამ ეტაპზე (წინა ქვეჯგუფების ჩათვლით) ქართველმა კალათბურთელებმა 10 პაექრობა მოიგეს და 5 დათმეს, რითაც უმაღლეს ლიგაში ადგილიც შეინარჩუნეს და გაისად ერთ-ერთ ეტაპსაც უმასპინძლებენ.

ბიჭების პარალელურად, ლატვიაში გოგონების ნაკრებიც იმყოფებოდა, ოღონდ 16-წლიანების. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ გუნდმა უნდა ითამაშოს წელს, ივლისში, თბილისში, ევროპის ზაფხულის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე. ლატვიაშიც ამ შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად წავიდნენ, **ლელა ცანავასა** და **როლანდ გელოვანის** ხელმძღვანელობით. შეკრების მიმდინარეობისას მათ ორი სპარინგიც გამართეს ადგილობრივებთან. სამწუხაროდ, ორივე დათმეს. პირველად ლატვიის ამავე ასაკის ნაკრებთან წააგეს – 34:56, შემდეგ ლატვიის ჩემპიონ „იელგავასთანაც“, მარაგში კი კიდევ ორი შეხვედრა აქვთ.

ილიადისი ათენში „გაძარცვეს“

ბოლო შაბათ-კვირას ათენმა ახალგაზრდა ძიუდოისტთა ტრადიციულ დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა – „ილიადისის თასი“, რომელიც ევროპის თასის ეგიდით ტარდება. ტურნირი ძიუდოში ბერძენთა ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის – **ილიას ილიადისის** (**ჯარჯი ზვიადაური**) სახელს ატარებს, რომელიც ყოველთვის იწვევს თანამემამულეებს. ქართველები იქ მუდამ დიდი წარმატებით გამოდიან, მაგრამ წელს, ცოტა არ იყოს, „უდიერად“ მოექცნენ მასპინძლებს, იმდენი მედალი მოხვეტეს, 11 ჯილდო მოიპოვეს – 4 ოქრო, 2 ვერცხლი და 5 ბრინჯაო. ამათგან ერთი ბრინჯაო გოგონებმა დაისაკუთრეს, დანარჩენი – ბიჭებმა. ჩვენმა ნაკრებმა საერთო ჩათვლაშიც გაიმარჯვა და, ცხადია, ბიჭებშიც. ჩემპიონები გახდნენ: **ირაკლი კუპატაძე** (55), **თორნიკე ნაგლიაშვილი** (60), **კობა მჭედლიშვილი** (81) და **გიორგი ლაზუაშვილი** (+100). მეორე ადგილზე **ჯამბულ ქურდიანი** (66) და **ჯაბა მუმლაძე** (+100) გავიდნენ, ბრინჯაოს მედლებს კი **ბექა შავდათუაშვილი**, **ბექა უდესიანი** (ორივე – 66), **გიორგი გველესიანი** (90) და **გიგა გელაშვილი** (+100) დაეუფლნენ. გოგონებში პრიზიორი **ოლიკო ალადოშვილი** (44) გახდა, რომელიც მარტში ანტალიაშიც მესამეზე გავიდა.

ჩვენმა ძიუდოისტებმა განსაკუთრებული წარმატებით 66 და მძიმე წონებში იჭიდავეს, სადაც კვარცხლბეკზე 3-3 ქართველი ავიდა... თუმცა, მძიმე წონა მაინც გამოსარჩევია, რადგან იქ ხარისხობრივად უკეთესი მაჩვენებელი გვაქვს – ოქროს მედალი. თანაც, ნახევარფინალში ოთხივე მონაწილე ჩვენი გუნდიდან იყო.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მჭედლიშვილმა მოგვიტანა, ჭაბუკებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონია, ახალგაზრდებში კი შარშან გადმოვიდა და მსოფლიოზე ბრინჯაო მოიპოვა, თან ახალ წონით კატეგორიაში. საერთოდ, ისე ხდება, რომ, ასაკის მატების გამო, ყოველწლიურად, იცვლის წონით კატეგორიას, თუმცა ეს შედეგზე არ მოქმედებს. რუს **ისრაილ საგაიპოვთან** მისი ფინალური შეხვედრის წინ, საერთო ჩათვლაში, თურქეთი გვისწრებდა, თუმცა წაგების შემთხვევაში რუსებიც გადაგვასწრებდნენ როგორც საერთოში, ასევე ცალკე ვაჟებში. საბედნიეროდ, მჭედლიშვილმა ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრა. მან მთელი ტურნირი შესანიშნავად ჩაატარა, თუმცა ფინალი რაღაც უცნაური, მაგრამ ძალზე ეფექტური გდებით მოიგო – ლამის ტატამზე ჩაწოლილი უკან გადახტა და ზურგზე მობღაუჭებული მეტოქეც თან გადაიყოლა, პირდაპირ ბეჭებზე დააგდო. არბიტრი დაიბნა და ეს გდება იუკოდ შეაფასა, თუმცა გამეორებების შემდეგ იპონად შეაცვლევინეს.

ეს ტურნირი ახალგაზრდული კი იყო, მაგრამ ჩვენს ნაკრებში ჭაბუკთა ნაკრების რამდენიმე წევრიც ჭიდაობდა და ზოგმა მედალიც მოიპოვა (მაგალითად, უდესიანმა). არაა გამორიცხული, ზოგიერთი ივლისის ბოლოს, თბილისში, ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზეც ვიხილოთ.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

მშობელთა კრება

სახალისო მათემატიკა

ვაგრძელებთ საუბარს პატარა ბავშვის ცხოვრებაში მათემატიკის ადგილის შესახებ. დროა, ციფრებზე გადავიდეთ.

რა ციფრია?

როცა პატარა ბავშვი კარგად აითვისებს ზეპირ თვლას, ნელ-ნელა ციფრებსაც გავაცნოთ. ვეცადოთ გავაგებინოთ, რომ ციფრი რაღაც დაგრეხილი ხაზები ან ჯოხები კი არა, გარკვეული რაოდენობის აღმნიშვნელი ნიშანია. ამისთვის საჭიროა კავშირის ჩვენება. ეს საკმაოდ ადვილია – ქაღალდისაგან უნდა დავამზადოთ კვადრატები და დავაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე, ამასთან, უნდა დავამზადოთ ფერადი წრეებიც; ვუჩვენოთ ბავშვს ციფრი და გვერდით მივუწყოთ შესაბამისი რაოდენობის წრე. ასე შევქმნით თვალსაჩინო კავშირს ციფრსა და რაოდენობას შორის.

როგორ ვაკონტროლოთ დამახსოვრება

ყოველდღიურად ასწავლეთ მხოლოდ ერთი ციფრი.

ყოველდღე შეამოწმეთ, ნამდვილად დაიმახსოვრა თუ არა ბავშვმა წინა დღეს ნასწავლი. თუ აღმოჩნდა, რომ არ ახსოვს, ახალზე გადასვლას ნუ იჩქარებთ, იმავე ციფრს დაუბრუნდით.

მოიფიქრეთ საინტერესო თამაში – ბავშვს შესთავაზეთ, ესა თუ ის ციფრი რაიმე ნივთს ან ცოცხალ არსებას მიამსგავსოს. მაგალითად, რვიანი ჰგავს პეპელას, ბაფთას, ბებოს სათვალეს, ოთხიანი – ადამიანის პროფილს. შეგიძლიათ, ციფრების შესახებ პატარა მოთხრობაც შეთხზათ.

შესთავაზეთ ბავშვს, სეირნობისას იპოვოს ციფრები და შეეჯიბრეთ, ვინ უფრო მეტ ციფრს შეამჩნევს. ყურადღება მიაქციეთ სახლების, ავტობუსებისა და მანქანების ნომრებს, დროს, ტემპერატურას, მაღაზიაში ნაწარმის ფასებს.

როცა ბავშვი კარგად აითვისებს პირველ ცხრა ციფრს, გააცანით ახალი ციფრი – ნული. ამისთვის მაგიდაზე რამდენიმე ნივთი დააწყვეთ და ბავშვს მათი დათვლა სთხოვეთ. შემდეგ ნივთები სათითაოდ აიღეთ და როცა აღარაფერი დარჩება, ჰკითხეთ ბავშვს, რამდენი ნივთია მაგიდაზე. შემდეგ ციფრი ნული უჩვენეთ და აუხსენით, რომ ნული არაფერია.

რომელია მეტი?

როცა ბავშვი 2,5-3 წლის გახდება, შეეცადეთ, გააცნოთ ცნებები „მეტია“, „ნაკლებია“, „ტოლია“.

დაუდეთ წინ ერთი მანქანა, ორი ბურთი, ხუთი კუბი. რომელია მეტი?

თოჯინები მაგიდასთან დასვით და ყოველ მათგანს წინ სათამაშო ფინჯანი დაუდეთ. სთხოვეთ ბავშვს, შეამოწმოს, ყველას ეყო თუ არა ფინჯანი. ბავშვმა სათამაშოებიც უნდა დათვალოს და მათთვის მირთმეული ფინჯნებიც. შემდეგ სთხოვეთ, ყველას ხელსახოცები ჩამოურიგოს.

ბავშვს სთხოვეთ, ორ თოჯინას თანაბრად გაუყოს კანფეტები. აუხსენით, რომ ამ დავალების შესასრულებლად თოჯინებს თითოთითო კანფეტი უნდა მისცეს. როცა ბავშვი კანფეტების განაწილებას მორჩება, შეაფასეთ მისი ნამუშევარი.

არ დაგავიწყდეთ ბავშვისთვის იმის ახსნა, რომ ორ თანაბარ ნაწილად შეიძლება გაიყოს მხოლოდ 2, 4, 6 და 8, ხოლო 1, 3, 5, 7 და 9 – არა. ეს ინფორმაცია პატარას სასხვათაშორისოდ უნდა მივანოდოთ – ნუ გვექნება იმედი, რომ 3 წლის ბავშვი კენტისა და ლუწის არსს მიხვდება, თუმცა გარკვეული ხნის შემდეგ ეს ინფორმაცია საჭირო დროს იჩენს თავს და ბავშვისთვის ახალი და სრულიად უცხო აღარ იქნება. მასალის ასეთ მიწოდებას წინმსწრებ სწავლებას უწოდებენ.

არითმეტიკული მოქმედებები

აი, აქტიური არითმეტიკული მოქმედებების ეტაპსაც მივუახლოვდით. პატარა მათემატიკოსს მიმატებისა და გამოკლების მაგალითები შესთავაზეთ. აიღეთ რამდენიმე კუბი, ერთი კი მაგიდაზე დადეთ. სთხოვეთ ბავშვს, გვერდით კიდევ ერთი კუბი მიუდოს. ახლა დათვალეთ, რამდენი კუბია მაგიდაზე. ორ კუბს მესამეც დაამატეთ. შედეგი ისევ დათვალეთ. ახლა პირუკუ ქმედებები შეასრულეთ. მოქმედებები თანდათან გაართულეთ. პატარა ბავშვი თანდათან აგროვებს გამოცდილებას და მისი ცოდნაც ფართოვდება. მაინც როგორია ცოდნის ასაკობრივი ნორმა? რასაკვირველია, ის ფარდობითია. ერთი წლის ასაკში ბავშვს შეუძლია იამაყოს, თუ ერთმანეთისგან არჩევს საგნების ზომას, სცნობს ბურთსა და კუბს, იცის 3-4 ფერი, შეუძლია თანმიმდევრული ქმედებების შესრულება. 1,5-2 წლისთვის, როცა მეტყველების აქტიური განვითარების პროცესი იწყება, ბავშვი კიბეზე ასვლისას იმეორებს მშობლის მიერ წარმოთქმულ ციფრებს. რასაკვირველია, პატარა ჯერ ვერ აცნობიერებს მათ მნიშვნელობას, მაგრამ თვლის ათვისებას აჩქარებს. 3-4 წლისთვის ბავშვს მათემატიკაში „მოთელვა“ უკვე გავლილი აქვს – კარგად ერკვევა გეომეტრიულ ფიგურებში, არჩევს წრეს, სამკუთხედს, კვადრატს, შესაძლოა, ზოგ სხვა ფიგურასაც. იცის მათი სახელწოდებები, შეუძლია საჭირო ფერის ნივთის პოვნა. 4-5 წლის პატარას უკვე შეუძლია უკუთვლა, ესმის, რა არის ბევრი. ამ დროისთვის დაგროვილი ცოდნის ბაზა ბავშვს საშუალებას აძლევს, არითმეტიკული მოქმედებების შესწავლა დაიწყოს. 6 წლის ბავშვი უნდა ითვლიდეს ათამდე, ხსნიდეს მარტივ მაგალითებს. როგორც ხედავთ, ბავშვის განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს! დასასრულ, ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ყოველივე ზემოთქმული სრულიადაც არ არის დოგმა, სხვადასხვა ასაკის ბავშვების მათემატიკურ შესაძლებლობათა განსაზღვრული ვარიაციები გონებრივ განუვითარებლობაზე სრულიადაც არ მიუთითებს.

მარიკა დვალი

ცურვა და ჯანმრთელობა

ცურვა აკაჟებს ორგანიზმს, ხელს უწყობს თერმორეგულაციის მექანიზმთა სრულყოფას, აძლიერებს იმუნიტეტს, აუმჯობესებს გარემოსთან ადაპტაციის უნარს, ამაღლებს ზოგად ტონუსსა და გამძლეობას. მას, ვინც რეგულარულად ცურავს, ჯანსაღი ძილი, კარგი მადა და გაწონასწორებული ნერვული სისტემა აქვს.

ცურვის დროს ყველა ჯგუფის კუნთები აქტიურდება, ხოლო სისხლის მიმოქცევის სისტემა, სხეულის ჰორიზონტალური მდგომარეობიდან და გარემოს (წყლის) სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო ნაკლებად იტვირთება, ვიდრე, მაგალითად, თხილამურებით სრიალის ან სირბილის დროს. ამით განსხვავდება ცურვა სხვა ციკლური ვარჯიშებისგან.

ცურვის დროს გულმკერდზე წყლის ზეწოლის გამო ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა ჭირს, რაც აწრთობს და ავითარებს სასუნთქ სისტემას, ხელს უწყობს ფილტვების სასიცოცხლო ტევადობის ზრდას. დადგენილია, რომ მაღალი კლასის მოცურავეებს ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა გაცილებით მეტი აქვთ, ვიდრე სპორტის სხვა სახეობათა მიმდევრებს. მათი ბრონქული გამავლობა და ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის მაქსიმალური სიჩქარეც ბევრად უფრო მაღალ მაჩვენებლებს აღწევს, ვიდრე სხვა სპორტსმენებისა. ცურვა განსაკუთრებით სასარგებლოა ბრონქული ასთმით დაავადებულთათვის. გარემოს სპეციფიკა – მაღალი ტენიანობა და სხვა ფაქტორები – მათზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს. ცურვის დროს ასთმური შეტევა არ ვითარდება, მაშინ როდესაც სირბილისა და ფორსირებული სუნთქვისას მისი აღმოცენების ალბათობა საკმაოდ დიდია. ცურვისას პრაქტიკულად არ იტვირთება სახსრები და ხერხემალი, ამიტომაც ხერხემლის პათოლოგიებით დაავადებულთათვის ცურვა განსაკუთრებით სასარგებლოა. ციკლური ვარჯიშის ამ სახეობას წარმატებით იყენებენ ხერხემლის დაავადებათა კომპლექსური მკურნალობისას. ისინი, ვისთვისაც ხმელეთზე სპორტული დატვირთვა მტკივნეული და სახიფათოა, მშვიდად და შედარებით კომფორტულად ვარჯიშობენ წყალში. ცურვა რეკომენდებულია ხანდაზმულებისთვის, ინვალიდებისა და მსუქნებისთვის. წყალი, გარდა იმისა, რომ ხელს უწყობს სხეულის მასის დაქვეითებას, სუსტ სახსრებს საშუალებას აძლევს, ისეთ დატვირთვას გაუძლონ, რომელიც ხმელეთზე შესაძლოა საზიანოც კი აღმოჩნდეს მათთვის. წყლის მაამორტიზებელი თვისებების წყალობით ვარჯიში ადვილი და სასიამოვნოა არა მხოლოდ ართრიტით (სახსრების ანთებით) დაავადებულთათვის, არამედ ორსულთათვისაც.

რას უხდება ცურვა

- ხელს უწყობს ზრდასა და წონის კლებას;
- ჩინებული საშუალებაა სკოლიოზის, ბრტყელტერფიანობის, ხერხემლის სხვადასხვა პათოლოგიის პროფილაქტიკისთვის;
- ავითარებს სასუნთქ აპარატსა და კუნთოვან სისტემას;
- ამაგრებს ძვლოვან სისტემას;
- განამტკიცებს ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემების ფუნქციას.

ცურვა და ენერგეტიკული ბალანსი

კუნთოვანი სისტემის ენერგეტიკული უზრუნველყოფა ცურვის დროს რამდენიმე თავისებურებით გამოირჩევა. წყალში ენერგიის ხარჯვა თავისთავად, ყოველგვარი ფიზიკური აქტივობის გარეშეც იმატებს – ვინაიდან წყლის სითბოგამტარობა 25-ჯერ აღემატება ჰაერისას, წყალში სხეულის ტემპერატურის შენარჩუნება 2-3-ჯერ მეტ ენერგიას მოითხოვს. წყლის ძლიერი წინაღობის გამო ერთი მეტრის გაცურვისას 4-ჯერ მეტი ენერგია იხარჯება, ვიდრე იმავე სიჩქარით სიარულისას (1კმ-ის გაცურვისას – დაახლოებით 3კალ/კგ, ხოლო 2კმ-ის გავლისას – 0,7კალ/კგ). ამის კვალობაზე, ცურვა სხეულის მასის ნორმალიზების უნიკალური გზაა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცურვისას და, საზოგადოდ, წყალში ყოფნისას სხეული ერთგვარ მასაჟს განიცდის. ასე რომ, იცურეთ, გაკაჟდით, ისიამოვნეთ, მოიპოვეთ სხეულისა და სულის ჰარმონია!

თინათინ გოცაძე

mkurnali.ge

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

3 ლარი

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23

წიგნის თვრო

მიმდინარეობს ხელმოწერა

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი**
ისტორიის მიღმა
ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი 14 ლარი

** წიგნი I**
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

9 ლარი

სავარჯიშო რვეული ქართულ გარითლწერაში

ქართველი მწერლები

1. **ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი**
2. **მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი**
3. **ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი**
4. **ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი**
5. **კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი**
6. **რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი**
7. **ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი**
8. **გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი**
9. **ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი**
10. **თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი**
11. **გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი**

მითითებულია თითო ტომის ფასი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა



თამაზ ვასაძე

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

10 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან ინტელექტი სკოლას

ფასი – 15 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

თემატური კლასიკები

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 *(42X59.4 სმ)*

1. **წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი**
2. **წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული**
3. **ფერები**
4. **გარეული ცხოველები**
5. **გარეული ფრინველები**
6. **პროფესიები**
7. **რიცხვები**
8. **შინაური ცხოველები და ფრინველები**
9. **ჰიგიენის ნივთები**
10. **საოჯახო ნივთები**
11. **ტრანსპორტი**
12. **წყლის ბინადრები**
13. **რუსული ანბანი**

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 *(59.4X84.1 სმ)*

1. **რელიგიების წარმოშობა**
2. **გარეული ფრინველები საქართველოში**
3. **გარეული ცხოველები საქართველოში**
4. **მწერები**
5. **ქვეწარმავლები საქართველოში**
6. **საქართველოს მცენარეები**
7. **სამყაროს წარმოშობა**
8. **ნიადაგი – სიცოცხლის წყარო**
9. **რეპტილიები და დინოზავრები**
10. **მსოფლიოს დროშები**
11. **ზღვის დინებები**
12. **ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა**
13. **ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტაქტიკა**
14. **მსოფლიოს შვიდი საოცრება**

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები *(34X47 სმ)*

1. **მიხეილ ჯავახიშვილი**
2. **გიორგი ლეონიძე**
3. **ირაკლი აბაშიძე**
4. **ნოდარ დუმბაძე**
5. **აკაკი წერეთელი**
6. **კონსტანტინე გამსახურდია**
7. **პაოლო იაშვილი**
8. **სულხან-საბა ორბელიანი**
9. **პოლიკარპე კაკაბაძე**
10. **გურამ რჩეულიშვილი**
11. **დავით გურამიშვილი**
12. **ბესიკი**
13. **რევაზ ინანიშვილი**
14. **თეიმურაზ I**
15. **ვახტანგ VI**
16. **გიორგი მერჩულე**
17. **გრიგოლ ორბელიანი**
18. **დავით ალმაშენებელი**

4 ლარი

რეპროდუქციები

1. **ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი**
2. **მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო**
3. **ადელ გლოზ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი**
4. **მენინები - დიეგო ველასკესი**
5. **დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო**
6. **მხატვრის ბალი - კლოდ მონე**
7. **უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი**
8. **საძანელა - ოგიუსტ რენუარი**
9. **საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა**

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

ჯოჯო-თუშაჯული

საღდგომოდ

დღეს შაბათია, წინადღე აღდგომისა. ბყნებაკ მომზადებულა აღდგომის მისაგებებლად. ავსილა მისი გულმკერდი ყვავილებით. თავზედ ადგა გვირგვინი გამარჯვებისა და ეს დედა, დედამიწა, სულგრძელი, ყსაზღვრო სიყვარულით ავსილის გულით, აწვდის ყველას და ყველაფერს ხელს და, როგორკ დედა შვილებს, პირჯვარსა სწერს, სოკოკხლეს დიდის ხნისას, სიყვარულისას სთხოვს მათთვის ზეკას. ყველგან სიხარულია, ყველას გულში სიამოვნებაა დღესასწაულის გამო. ერთი მხოლოდ ბობოლა სკვირის და სკვირის იმოკომ, რომ შვიდის ფრთისა ერთიღა შერჩა და ისოკ, როგორკ თითონ, შემჭვარკლულული; იგი, თავპირჩამომკირალი, ბყხრის თავზე ჰკიდია მოსაწყლებული, გაბეჩავებული, სასოებამიხდილი. საბრალო! ხვალ იმ ერთადერთს ფრთასაკ დაჭკარგავს და თითონაკ თან გაჰყვება. მოელება ბოლო მის ფარფაშს, მის საზარელს მაღლიდამ გადმოკქერას, დიდისა და პაკარის დამაწიოკებელს. გაითრევენ, გასწეწენ ბალღები და გადაყძახებენ სადმე ხევში ან კლდეზედ, ქარსა და წყალს მისკემენ.

რამდენი კრემლი ჩამოაგდებინა ამ შეჩვენებულმა ბობოლამ ბალღებს, მაგრამ ხვალ კი ჯავრს ამოიყრიან; როგორკ შეეფერება, სწორედ ისე მოეჭკევიან, ამოაშხამებენ სასკიკოობა-მკარვალობას. ჯერ გაუშინწინვე გაიგონებდით ბალღების სიმხიარულეს ბობოლას ჩამობრძანებაზე და ყელის ჩაპოხახე.

„დღეს წითელი პარასკევი, ხვალ შაბათი შავდებათ;
ხვალზევით რომ კვირა მოვა,
ყელი ჩაიპოხებათ".

ყველგან მოძრაობა და დიდი მოლოდინია ქრისკვეს აღდგომისა. სად ქათამი ჩამოსვეს ქანდარიდამ და მოაგდებინეს კისერი, სად ნასყქს ინდაყრს მოაშორეს სწორედ ინდაყრული, გამოჩერჩეკებული გოგრა, სად ნასყქის ქოსმანის ჭყივილი ისმის, ჭყივილი ვაისა და ვაგლახისა. ამოაშხამეს იმასაკ იმდენის სანოვაგის შეყლაპვა და გაოხრება. დიასახლისებს ჯერაკ არ გადასვლიათ ხელებიდან კვერკხების ღებით ახალი ფერი. მოისვენებს ამას იქით ლობიოს სადყლარიკ. პაკარძლებმა და გასათხოვარმა ქალებმა სწორედ ათჯერ დაიბანეს პირი და, ვისაკ კი რამ ხიზილ-პიპილა მოეპოვებოდა, ცანზე მიიკოსეს, „ბყზიკები" და „პოლსაპოჩკები" გაიწმინდეს. მხოლოდ მოხყკებულნი არა ზრყნავენ ცანის აჭრელებაზე, მისხდომიან კეკხლს კერის პირას, სანთელს ადნობენ და აკეთებენ. მღვდელი და დიაკვანიკ, ყნდა მოგახსენოთ, დიდს ფაკა-ფყკში არიან. ხყრჯინები დაკერეს, ციჭკორები დარეკხეს და, სადაკ დაზიანებული იყო, პოლორჭიკი მიაკერეს. მარილი და შაბიკ მოამზადეს ბაცკნის ცყავების დასამარილებლად. მომზადდა ძღვენიკ ნათლიისათვის, მის განყშორებელის მეგობრიოყრთ – ინდაყრით, ამასთან, ნამკხვარ-ნაზყქით და საქმის დამაგვირგვინებელ ყელმოღერებულ გოზაყრით.

საყდრის შორიახლო კეკხლის ალი ავარდა. გაჩაღებულს კეკხლს გარს შემოსხდომოდა ხალხი. დიდი და პაცარა გაფოკყლიყვნენ ეფხიზლათ ამ ღამეს. ყველანი ყაყანებდნენ. იმათში მხოლოდ ერთი გაჭალარავებული კაკი ერია. დაფიქრებული თვალები, ჩამომხმარი და ჩამომკირალი სახე ცხადად ამკკოკებდნენ, რომ ამ კაკს ბევრი ცანჯვა და ვაება ყნდა გამოეველო. ყკნობს სოფელში ნაბერალს საბას ეძახდნენ. მართლაკ, საბამ ბერობაში ათიოდე წელი გაკარა, მაგრამ რა მიზეზის გამო დაანება თავი ბერობას, არავინ ოკოდა; იგი სოფელში მაინკ კიდევ ბერივით სკხოვრობდა, საყდრის ყარაულად იყო. სოფლელთაგან ბევრი დაკინვა ესმოდა საბას: ერთი „ძალად წმინდანს" ეძახდა, სხვა „გამოპარულს ბერს" და სხვა და სხვა. საბა ამას ყურადღებას არ აქცევდა.

– აბა, ერთი, შენ ჩვენზე ბევრით მეკი ოკი, – სთხოვა საბას ერთმა იქ მყოფმა შყახნის გლეხმა: – ერთი გვიამბე რამა, გეთაყვა, საბავ!

– დიდება შენს სახელს, ღმერთო, სასოებათ ჩვენო, დიდება შენდა! – სოქვა საბამ, – ნეცარ არიან დევნილნი სიმართლისათვის, თვით იესო ქრისკემ ბრძანა. იგი ღმერთი იყო, შვილო, – არ იწამეს, მოჭკლეს, ჭვემეს, სკანჯეს, ჯვარს აკვეს და მე ერთი საწყალი კაკი რომ მასხრად დამიჭირთო, რა საკვირველია. იგი ჯვარს აკვეს, მაგრამ ჯვარზედაკ თავის მკრებისთვის ლოკყლობდა, ეკედრებოდა მამა ღმერთსა, რომ მიეკევებინა კოდვა ყგყნყრთათვის: „რამეთუ არა ოკიან, რას იქმანთ". მაინკ და მაინკ იესომ ქვეყანა არ მოიძყლა, მას არ გადაემკერა.

– რად მოჭკლეს ქრისკე ყრიებმა, საბავ? – იკითხა მეორემ.

– იმოკომ, – უპასუხა საბამ, – რომ კყკს არჩენდა, მკვდარს აკოკხლებდა და ბრმას მხედველობას აძლევდა. ფარისეველთ სწყინდათ, ჭშყრდათ, ქრისკე ხალხს რად ყყვარსთ და მოაკვდინეს კიდეკ, მაგრამ მან სიკვდილი დათრგუნა და ამაღლდა ზეკას და კვალად მომავალ არს... ვაი მაშინ იმას, ვინკ კოდვილია. მეორედ მოსვლა რომ იქნება, მაშინ იესო ქრისკე გაარჩევს ყველას, როგორკ მწყემსმა კხვრები თხებისაგან გაარჩიოს, და ყველას თავის შესაფერისს ადგილს მისკემს. მაშინ ბევრი ინანებს, ბევრი ოკირებს, მაგრამ გვიანღა იქნება...

ეს საყბარი დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ ძვლების კნაწკაკნყწის ხმას არ მიეჭკია ხალხის ყყრადღება. თყრმე კაცას, ვინ ოკის, რომელ დიასახლისისათვის, ქათამი მოეცაკა, შორეყლ ღამისმთეველებს შორიახლო მიეთრია და შეეჭკეოდა. ნახევარი ხალხი იმას გამოეკიდა.

– ვერ ყყყრებ მაგ ვერანას, წინადღითვე გაყხსნილებია, ე! – ამბობდა ხალხი ხარხარით.

ამ მდგომარეობაში იყო ხალხი, რომ ზარი აჩქამდა. ყველამ ქყდები მოიხადეს და დაიწყეს პირჯვრის წერა. „ცარასცა", რაკ ძალი და ღონე ჰქონდა, რეკდა ზარებს, მაგრამ ახალგაზრდებმა მალე ჩამოართვეს ეს ხელობა და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ზარის რეკვაში; ერთი მეორეს სკაკებდა ხელიდან ზარის თოკს. შორიდამ მღვდლისა და დიაკვნის ხმაკ მოისმა, იმათ თან მოსდევდა ხალხის ვრთვა. მღვდელი მოვიდა მრევლითყრთ. ყველამ სანთლები დაანთეს, მხოლოდ „ცარასცა" აღარსად ჩანდა, იგი საყდრის კარებს ეფარა. მღვდელმა წინადვე დაარიგა, რა პასუხიკ უნდა მიეკა. „ცარასცა" მიკუნჭყული იდგა კარებში და დასწავლილს სიკყვებს ბყკბყკცებდა. მღვდელი შეიმოსა, აიღო კელაპტარი და გაყძღვა წინ ხალხს „ქრისკე აღსდგა"-ს გალობით. ხალხიკ თან მისდევდა ხელსანთლიანები. შემოყარეს ლიკანია ორჯერ და, მესამედ რომ მიყახლოვდა კარებს, მღვდელმა ყველანი შეაჩერა და სოქვა:

– აღახვენით ბჭენი თქვენნი, მთავარნი, და აღახვენით ბჭენი საყკუნენი და შევიდეს მეყფე დიდებისა! – „ცარასცას" დაჰვიწყებოდა მღვდლის ნასწავლი სიკყვები და, იმის მაგივრად, რომ ეთქვა: „ვინა არს მეყფე დიდებისათ", – ვინ არის და ვინ ვინდათ, – შემოგვჩხავლა საყდრიდამ. ხალხს სიკილი წასკდა. მღვდელმა ყური არ ყგდო „ცარასცას" ყგვანს პასუხს.

– ყფალი ძალთა თავად არს მეყფე დიდებისათ, – სოქვა მან, დაჰკრა ფეხი და შეაღო კარები. ხალხიკ მიჰყვა ვრიალით. მღვდელმა და დიაკვანმა გამარჯვებულად ჩამოიღოკეს ეს გამარჯვება სიმართლისა, ქრისკეს აღდგომა.

– აღსდეგინ ღმერთი და განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი, – სოქვა მღვდელმა და „ქრისკე აღსდგა!" მოაძახა ხალხს გამეორებით.

ბოლოს მღვდელმა სიკყვა სთქვა, რომელიკ შემდეგის სიკყვებით დაამთავრა: „ფარისეველთ, ყგყნყრთ აკვეს ქრისკე ჯვარსა, ვითარკა ავაზაკი, და გაგმირეს ლახვრითა, მაგრამ აღსდგა, სძლია სიკვდილსა და მით მოგვკა ჩვენ, კაკთ, მაგალითი აღდგომისა, სიკვდილის ძლევისა, და დაემკვიდრა ჩვენს შორის; მოგვანიჭა ნათელი, ნაკვლად ბნელისა. ამიერიდგან ეშმაკი ველარ გაიმარჯვებს კაკთა ნათესავზე, სამეფო მისი შემყსვრილ იქმნა. ლოდი, რომელიკ დაეკცა ფარისეველობამ, ბოროკებამ, შყრმა სამარე ქრისკესი, რათა მოესპო ჩვენთვის კავშირი ქრისკესთან, ჰფარვიან ანგელოზნი და ეკყვიან იესოს მაძიებელთ: „ვისაკ ეძიებთ, იგი აღსდგა!"

ხალხი თავჩაკიდებით, მორჩილად ისმენდა ამ სიკყვებს, საბა კი დაჩოქილი იდგა ქრისკეს აღდგომის ხაკთან, კრემლი სიხარულისა ჩამოსდიოდა და ხელაღპყრობით ეკედრებოდა მეყფეს.

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტატელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება" ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >